26

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 2641
შაბათი,
16 ოქტომბერი

ცნობის ფურცელი

№ 2641
შაბათი,
16 ოქტომბერი

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27 განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კონტორებში მოსკოვში და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1904

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთი თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 373.

მიხეილ გაბრიელის ძე და ელისაბედ დავითის ასული მახვილაძეები, ძმები, დები და რძალი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველნი— თავიანთ საყვარელის შვილისას, დანარჩენნი—ძმის პირველ გიმნაზიის მერვე კლასის მოსწავლის

ნიკოლოოზ მიხეილის ძის მახვილაძისას.

გამოასვენებენ დღეს, შაბათს, 16 ოქტომბერს დილის 10 საათზე, სადგომიდან, ნორიის აღმართი, სახლი ლანცევისა, კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში. დაკრძალვა იქვე. (1—354—1)

სახაზინო თეატრი. ანტრეპრიზა საიმპერ. თეატრის არტ. ლ. დ. დონსკოისა.
შაბათს, 16 ოქტომბერს 1904 წელს
წარმოდგენილი იქნება „ვ ე რ ტ ე რ ი" ოპერა 4 მოქ., მუს. მასსნე.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: დონსკაია-ეიხენვალდი, პეტროვა-ზვანცოვა, ხასლავსკაია; ბ-ნნი: სიკარინსკი, კომაროვი, დემიანენკო, პორუბინოვსკი და დემიტროვი.
კაპელმეისტერი ეიხენვალდი. ფასები ჩვეულებრივია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
17 ოქტ.—„კარმენი"; 18 ოქტ.—„ფაუსტი". გამგე ი. ა. კელლერი

ქ. ფოთში, ლაზარევის ქუჩაზე, სამოქალაქო სასწავლებლის გვერდით იყიდება მამული ზომით 234 ოთხკუთხი საჟენი, ზედ სახლია 7 თვალიანი კუხნით და საკუჭნაოთი. ფასისთვის მიჰმართეთ პირადად ან წერილით ფოთში, ანნა კვიტატიანისას. (2—3901—1)

საარტისტო საზოგადოების შენობაში პირველხარისხოვანი რესტორანი
«ა ნ ო ნ ნ ა»
ტფილისი, გოლოვინის პროსპექტი. ყოველ დღე დაუკრავს ცნობილი
რუმინელთა ორკესტრი
დღისით 2-დან 5-მდე, საღამოთი 9-დან 2 ს.-მდე.
სასტუმროს პატრონი ი. ტ. ბონდარენკო.
(7—346—5)

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
ა. ი. ბადარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
მ. ტ. მუღანი.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა ყოველდღე გარდა კვირისა. 10—11 საათ.
ლ. ი. კამოევი.—საშარდესი ხირურგია და ვენერიული ყოველდღე. 12—1 საათ.
ლ. ი, ქიმონტი.—ხირურგია 11½—12½ კვირაობით, სამშაბ., და ხუთშაბათ.
ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათამდე.
დ. ე. ბიდიშანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
მძ. ქალი ღ. კ. იოხელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
მ. ა. ზილერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ.
ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშვებისა და (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირათ. 1—2 საათამდე.
მ. ს. მუსხელიშვილი.—თვალისა 2—3 საათ. ყოველ-დღე გარდა სამშაბ. და კვირისა.
მძ. მ. ხოზოლდამბძე.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკ. 1—3 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
მ. მ. ხოზოლდამბძე.—ხირურგია და ორტოპედია. სამშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
ტ. ს. დავიდოვი.—შინაგანი და ბავშვებისა ყოველდღე გარდა კვირისა. 5—6 საათ.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., საავადმყოფოს აქვს ოცი საწოლი სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ღირს სამი მან. საზოგადო და ნომერი 5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 2. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 Б.
ტელეფონი № 274.

ქუთაისში, ექიმი
მიხეილ ივანეს ძე ჩხენკელი
მიიღებს შინაგან და ბავშვების ავადმყოფებს, ტფილისის ქუჩა, სამსონ აბდუშელიშვილის სახლი. (30—5—25)

მკურნალი
მიხეილ გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს საღამოს 6—7 საათ. წამლობა ელექტრონით.
ნის ქ., № 16. საკუთ. სახ., ტელ. 791

კბილის ექიმი
ელ. რომანიშვილი
მიიღებს ავადმყოფებს ახალ ბინაზე მუხრანიანთ ქუჩა, № 19, საკუთარი სახლი, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე, დილის 12 საათიდან საღამოს 5 საათამდე. (თვ.—5.—16)

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
იღებს სიფილისით და ვენერიული სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე ფოსტის პირდაპირ, ბარონის ქუჩა, სახლი მესხიშვილისა. (30—6)

ე ქ ი მ ი
კ. ნ. თ ე თ რ ა ძ ე
მიიღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათამდე. ებნაია, № 24, აფთიაქის თავზე. (30—332—16)

ე ქ ი მ ი
გ. ი. ტერ-გრიგორიანცი
შინაგანთა, სპეციალისტი გულისა და ბავშვების ავადმყოფობის, რენტგენის სხივის კაბინეტი. დილის 10—11 საათ. და 5—6 საღ. მიხეილის პრ. № 154. ტელეფონი № 825. (90—296—17)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
გადავიდა: ნიკოლოზისა და ნეკრასოვის ქ. კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, №№ 32, 21, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-დის.

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
14 ოქტომბერი

გიბრალტარი, 13 ოქტომბერი („რეიტერი"). ლამანშის ესკადრამ დატვირთა ქვა-ნახშირი, სამხედრო მასალა და სურსათი და მზათაა დაუყოვნებლივ გავიდეს ზღვაში. სამხედრო გემები და ერთი კრეისერი სასტიკად იცავენ სრუტეს. იუწყებიან, რომ მოკლე ხანში აქ ხმელთა შუა ზღვის ესკადრას ელიან. საზღვაო არსენალში დღე-და-ღამ გაცხარებული მუშაობაა. საადმირალო დაეკითხა ქვა-ნახშირის ვაჭრებს, რამდენი ნახშირი გაქვთ და რა ფასად შეგიძლიათ მოგვყიდოთო. ინგლისის სამმა ჯავშნიანმა გემმა და სამმა კრეისერმა ბრძანება მიიღეს, 15 ოქტომბერს დილით გავიდნენ ზღვაში. ხმებია, რომ ამ გემებს უბძანეს გაჰყვნენ და თვალ-ყური ადევნონ რუსის ესკადრის ჯავშნიან გემებს, რომელნიც, როგორც ფიქრობენ, სამხრეთ აფრიკას შემოუვლიან, რუსის კრეისერები-კი გიბრალტარის სრუტეში გაივლიან, იქიდან პორტ-საიდს წავლენ და პორტ-საიდიდან გაივლიან სუეცის არხს. გიბრალტარში ინგლისის ნაღმიან გემების მთელი ფლოტილიის მაბილიზაცია მოხდა.

მადრიდი, 14 ოქტომბერი („ჰავასი"). ადმირალმა როჟდესტვენსკიმ გამოაცხადა, ჩრდილოეთის ზღვაში მომხდარი შემთხვევა აუცილებელი იყოო. სინიდისის მოთხოვნილებისამებრ მოვიქეცი, ესკადრის განადგურების ასაცდენად ლიბავიდან წასვლის წინ გამოვაცხადე, რომ სასტიკად მოვეკიდები ყოველ გემს, რომელიც ესკადრას მოუახლოვდებაო. ადმირალს სწყინს, რომ საკმაო სურსათს ვერ დატვირთავს. თვითეულ გემისათვის 400 ტონნა სურსათს ვთხოულობ და ვიკმარებ სრუტესთან მისვლამდის, სადაც ზღვა უფრო წყნარია და შეძლება მექნება სურსათი გაშლილ ზღვაში დავტვირთოო.

ვიგო. ნავთსადგურის უფროსმა განუმეორა თხოვნა და ადმირალმა როჟდესტვენსკიმ პირობა მისცა, რომ ესკადრა ესპანიის ზღვაში ქვა-ნახშირს არ დატვირთავს, და მხოლოდ 400 ტონნა ქვა-ნახშირი მოითხოვა თვითეულ გემისათვის ტანჟერში მისასვლელად. რუსის ჯავშნიან გემებთ ახლოს გერმანიის ორი ნახშირის გემი დგას. რუსის კონსულმა ინახულა ესკადრა. ხმებია, მთავრობის ბრძანებით, ესკადრა სულ მცირე ხანს უნდა დარჩეს ვიგოში, რათა ბოროტგანმზრახველნი თავიდან აიცდინოსო.

ლონდონი, 13 ოქტომბერი. „გლობის" სიტყვით, პორტსმუტში დიდი სამხედრო მზადებაა. ბრძანება მოვიდა, დააჩქარონ შეიარაღება ზოგიერთ გემებისა, რომელნიც სათადარიგო გემებად ითვლებიან. კრეისერებმა ბრძანება მიიღეს, მზად იყვნენ ზღვაში გასასვლელად.

როგორც სალიბერალო დასის მეთაურთა, ცნობილ ლიბერალთა და მუშათა ჯგუფების მეთაურთა სიტყვებიდანა სჩანს, სწერს „დეილი ტელეგრაფ"-ი, მთელი ინგლისი ერთნაირად ფიქრობს და ერთის აზრისაა. ასეთი ერთსულობა ინგლისში არა ყოფილა ნაპოლეონის ომების შემდეგ. ყველა მიმართულების გაზეთები ერთხმად თხოულობენ, რომ ინგლისმა დაუყოვნებლივ მიიღოს შესაფერი ზომები, რათა თავიდან აცდენილ იქნას ის განსაცდელი, რომელიც ყველას მოელის.

15 ოქტომბრისთვის დანიშნულია მინისტრთა საბჭოს კრება.

ვიგო, 14 ოქტომბერი („ჰავასი"). იმ დროს, როდესაც როჟდესტვენსკი სამხედრო გუბერნატორის სახლიდან გამოდიოდა, ერთმა მოხუცმა ხელზე აკოცა. ადმირალმა მოხუცს შუბლში აკოცა. ბრბომ ტაშის ცემა ასტეხა. ადმირალი ამ ოვაციებისაგან აღელდა.

ბუდაპეშტი, 14 ოქტომბერი. კოშუტმა დეპუტატთა პალატაში წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ მინისტრ-პრეზიდენტმა დაავალოს გარეშე საქმეთა მინისტრს, მხარი დაუჭიროს შეერთებულ შტატების იმ წინადადებას, რომელსაც აზრად რუსეთ-იაპონიის ომის შეწყვეტა აქვს.

ფიუმე. აქ მყოფმა ინგლისის ესკადრამ ბრძანება მიიღო, შეუერთდეს პოლში მყოფ ინგლისის მეორე ესკადრას, შემდეგ დასავლეთით წავიდეს და გიბრალტარის მახლობლად შეუერთდეს ინგლისისავე ხმელთა შუა ზღვის ესკადრას.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
14 ოქტომბერი

პეტერბურგი, 14 ოქტომბერი. დღეს პეტერბურგიდან ვილნოში წავიდა მეორე მანჯურიის არმიის უფროსი გენერალი გრიპენბერგი.

დობროვოლნი ფლოტის გემები „სმოლენსკი" და „პეტერბურგი" ჩარიცხულ იქმნენ სამხედრო ფლოტში. ეს გემები კრეისერებად ითვლებიან. პირველს სახელად ეწოდა „რიონი", მეორეს—„დნეპრი".

გიბრალტარი, 14 ოქტომბერი („ცენტრალ ნიუს"). ლამანშის ესკადრა ნავთსადგურშია და მზად არის წასასვლელად. ინგლისის გემი „ტამორა" იუწყება, რომ გუშინ შუადღისას წმინდა ვინცენტის კონცხთან მოსჩანდა რუსის ორი კრეისერი, რომელნიც ზღვაში დაზიანებულიყვნენ. კრეისერებმა ანიშნეს გემს, რომ შველას არა ვსაჭიროებთო.

აროზა, 14 ოქტომბერი. კრონშტადტიდან მოვიდა კრეისერი „სვეტლანა" და წაიღო 250 ტონნა ნახშირი. ესპანიის ორმა გემმა აცნობა „სვეტლანა"-ს, რომ რუსის ესკადრას ნება არ ეძლევა ნახშირი წაიღოს ესპანიის სამფლობელოებიდანაო. კრეისერი ზღვაში წავიდა.

პეტერბურგი. დიდ ოკეანეს ფლოტის მეორე ესკადრის უფროსის, გენერალ-ადიუტანტ როჟდესტვენსკისაგან 14 ოქტომბერს ორი დეპეშა მოვიდა იმ ინციდენტის შესახებ, რომელიც ჩრდილოეთ ზღვაში მოხდა. პირველი დეპეშაა: „ჩრდილოეთ ზღვაში მომხდარი ამბავი გამოიწვია ორმა ნაღმიანმა გემმა, რომელნიც წყვდიადში, სინათლე ჩამქრალნი, იერიშით მოდიოდნენ ჩვენის ესკადრის მოწინავე გემზე. როდესაც ესკადრამ ის ფარნები გაანათა, რომელსაც ბრძოლის დროს ხმარობენ, და სროლა დაიწყო, გამოირკვა, რომ იქვე იყო რამდენიმე ორთქლით მავალი გემი, რომელნიც მეთევზეთა ორთქლით მავალ გემებს ჰგავდნენ. ესკადრა უფრთხილდებოდა ამ გემებს და სროლა შესწყვიტა მაშინ, როდესაც ნაღმიანი გემები თვალთაგან მიიმალნენ. ინგლისის პრესსა აღელვებულია იმით, რომ ნაღმიანი გემი, დილამდე დატოვებული იმ ადგილას, სადაც ზემოხსენებული ამბავი მოხდა, არ ეხმარებოდა დაზიანებულთ. ჩვენ რაზმთან არც ერთი ნაღმიანი გემი არა ყოფილა და არც არავინ დაგვიტოვებია, მაშასადამე, დილამდე პატარა გემებთან დარჩენილა ერთი-ერთი იმ ორ ნაღმიან გემიდან, რომელიც კი არ ჩაძირულა, მხოლოდ დაზიანებულა. ჩვენი რაზმი არ მოუშველა პატარა ორთქლის გემებს იმიტომ, რომ ეჭვი შეეპარა: რადგან ეს პატარა გემები სცდილობდნენ ჩვენის წრის გარღვევას, გავიფიქრეთ—იქნებ ისინიც ნაღმიან გემებს ეხმარებიანო. ზოგიერთ ჩვენ გემს სულ არ დაუწყია სროლა, ზოგმა გვიან დაიწყო".

მეორე დეპეშა: „მეორე ესკადრას შეერი მეთევზე შეხვდა გზაში, მაგრამ იგი ყველას ყურადღებით ეპყრობოდა. ისე არ მოიქცა ესკადრა მხოლოდ მაშინ, როდესაც მეთევზებთან უცხო ნაღმიანი გემები იყვნენ, რომელთაგან ერთი გაიმალა, ხოლო მეორე, თვით მეთევზეთა ჩვენებით, მათ შორის დარჩენილა დილამდე. მეთევზეებს ეს გემი რუსებისა ეგონათ და ჯავრობდნენ, რატომ დაზარალებულთ არ ეხმარებაო. მაგრამ ეს გემი სხვისა იყო და დარჩენილა დილამდე ამხანაგის მოსაძებნათ, ან ზიანის შესაკეთებლად. თან ეტყობა ეშინოდა, არავის არაფერი გაეგო. თუ უბედურების ადგილას მეთევზეებიც იყვნენ, რომელნიც თავისდა უნებურად საქმეში ჩაერივნენ, იმ შემთხვევაში მთელის ესკადრის სახელით გთხოვთ გამოაცხადოთ გულწრფელი მწუხარებ უბედურ მსხვერპლების გამო. ყველა სამხედრო გემი, მშვიდობიანობის დროსაც-კი, ისე მოიქცეოდა, როგორც ჩვენ მოვიქეცით. ადმირალი როჟდესტვენსკი".

15 ოქტომბერი

ხუანშანი, 14 ოქტომბერი. ღამემ წინანდელ ღამეებზე ნაკლებ წყნარად ჩაიარა. საღამოს ათ საათიდან ჩვენ მარჯვენა ფრთაზე, რკინის გზის მახლობლად, ჩვენმა რაზმებმა, რომელთაც ზარბაზნები იფარავდნენ, დაზვერეს მტრის მხარეს მდებარე ადგილები. ამ დაზვერას კარგი ნაყოფი მოჰყვა. დღეს დილიდან ისმის ზარბაზნების ხანტი სროლა. მაღალ გორიდან ისმის ზარბაზნების გრიალი. ორივე ჯარი ერთმანეთს დაუახლოვდა, ზოგგან 500 ნაბიჯით. ფრონტზე ჯარი გაჭიმულია 3 ვერსის მანძილზე. ორივე მხარე მოელის ბრძოლას. როგორც რუსისა, ისე იაპონიის ჯარის ცალკე რაზმები თხრილებს მართავენ, პოზიციებს ამაგრებენ, ერთმანეთს თვალ-ყურს ადევნებენ და სცდილობენ მოულოდნელად ავნონ მტერს. ყველა ბრძოლაში მიიწევს.

ლონდონი, 14 ოქტომბერი. უნაყოფოდ ჩაიარა იაპონიის მთავრობის მეცადინეობამ ახალ სარგებლიან ქაღალდების გამოცემის საქმეში. პირველი სერია—ერთი მილიონი იენი რამდენსამე კვირაში გასაღდა, მაგრამ ეს ქაღალდები იყიდეს მიგზავნილმა კაცებმა და იმათვე შერჩათ ხელში. შესწყდა დანარჩენ სარგებლიან ქაღალდების გამოცემა. ამ ოპერაციით მთავრობამ ხალხის თვალში ნდობა დაჰკარგა.

პეტერბურგი, 15 ოქტომბერი. მანჯურიის ჯარის საოლქო ინტენდანტი პოლკოვნიკი დაინიშნა მეორე მანჯურიის არმიის ინტენდანტად და ებოძა გენერალ-მაიორობა.

ხარბინი, 15 ოქტომბერი. შორეულ-აღმოსავლეთის ნამესტნიკის ბრძანება ფლოტის მიმართ: „უმაღლესის მისის უდიდებულესობის ბრძანების აღსასრულებლად მივდივარ რა პეტერბურგს, გულითად ვმადლობ დიდ ოკეანეს ფლოტის მეზღვაურთ ათის თვით განმავლობაში თავგამოდებულ სამსახურისათვის. ამ სამსახურს ყოველთვის თან ახლდა ათასი განსაცდელი. მეზღვაურნი დიდის შრომით ანადგურებდნენ მტრის ნაღმებს, იცავდნენ ჩვენს სანაპიროს და ანახლებდნენ მტერთან ბრძოლაში დაზიანებულ გემებს. ვალად ვრაცხ თავს მადლობა გამოვუცხადო პორტ-არტურის მეზღვაურთ, რომელნიც, ზემო აღნიშნულ სამსახურს გარდა, შეერთდნენ მამაც ჯართან და თავიანთის სიმტკიცითა და ცოდნით ციხის პოზიციებზე ხელს უწყობენ ძლიერ მტრის წინააღმდეგ გმირულ მოქმედებას".

ჩიფუ, 13 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფის" კორესპონდენტი იუწყება: „ჩემ მიერ გაგზავნილი კაცი პორტ-არტურიდან დაბრუნდა. ამ კაცმა მოახერხა იაპონელთა წრის გარღვევა და მისვლა შუნშუნსა და საზღვაო ბანაკამდე, რომლის მახლობლადაც 10 ათასი იაპონელია. ამინდი მეტად ცივია; წყალი იყინება; ბევრნი ჩინელთა სახლებში არიან დაბინავებულნი. სახლის პატრონებს ავალებენ, მიიღონ ჯარის-კაცნი. დანარჩენნი გარედ სცხოვრობენ. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ უნაყოფობა ცუდად მოქმედებს იაპონელთა ჯარზე. ერთი კვირაა, რაც იაპონიიდან ჯარი აღარ მოჰყავთ. იაპონელები ამაგრებენ აღმოსავლეთ პოზიციებს. ძლიერ სიმაგრეებს ჰმართავენ სანაპიროზე. დალნიში მუშაობს ორი დიდი საავადმყოფო. ექიმები დღე და ღამ მუშაობენ. ყველა იმ აზრისაა, რომ იაპონელებმა სულ ცოტა 40,000 კაცამდე დაჰკარგეს. ამისდა მიუხედავად, იაპონელებმა რუსის თავდასაცველ წრეში დღემდე ვერც ერთი თვალსაჩინო სიმაგრე ვერ აიღეს".

(ომის დეპეშები იხ. მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

ომის ამბები. „ბერლ. ლოკალ ანცაიგერ"-ის სამხედრო მიმომხილველი სწერს: გამწვავებულ ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ სიწყნარე ჩამოვარდა. რუსისა და იაპონიის არმიები მდ. შახეს პირად დგანან ერთმანერთის პირდაპირ. 4 ოქტომბერს აქეთ უბრალო შეტაკების გარდა, სხვა ბრძოლა არ მომხდარა. ჯარებიც დაიღალნენ საშინელ ბრძოლის დროს, ამას გარდა ყუმბარა და პატრონა შემოაკლდათ. რუსის აღმოსავლეთ არმიაზე (ციმბირის პირველი და მე-2 კორპუსები და გენ. რენენკამფის ცხენოსანი რაზმი) არაფერი ცნობა არ მოდის. გენ. კუროკის არმიის ნაწილი, მგონია, იაპონიის უმთავრესს არმიასთან ავიდა. გენ. კუროპატკინს მდ. შახეს მარჯვენა მხარეზე პოზიციები და ხუანშანის სიმაღლეები უჭირავს მუკდენიდან 20 კილომეტრის მანძილზე. და, ალბად, ციმბირის მე 6 კორპუსის დანარჩენ ნაწილისა და მე-8 საარმიო კორპუსის მისვლას მოელის. ციმბირის მე-6 კორპუსიდან მხოლოდ ერთი ნაწილი იღებდა მონაწილეობას იანტაისთანა და შახეზე მომხდარ ბრძოლაში. დანარჩენი ჯერ მოსასვლელია. მე-8 საარმიო კორპუსი ადესიდან 2 სექტემბერს გაისტუმრეს მანჯურიაში. როცა ეს კორპუსი ჩავა, შეიძლება რუსებმა ხელ-ახლად მიიტანონ იერიში იაპონელებზე. მართალია, 3 ოქტომბერს შემდეგ ბრძოლა შედგა და სიჩუმე ჩამოვარდა, მაგრამ ეს სიჩუმე დროებითია, მალე ისევ დაიქუხებს ზარბაზანი, ხელ-ახლად დიდი ბრძოლა მოხდება და ამ ომის საქმე საბოლოოდ გადასწყდება...

სამხედრო მოქმედების ასპარეზზე საყურადღებო აღარა ხდება-რა. გენ. სახაროვი ყოველ დღე ერთსა და იმასვე იწერება: „დღეს ბრძოლა არ მომხდარაო". კაცს ეგონება, სრული მშვიდობიანობა ჩამოვარდაო. ნამდვილად კი ორივე მხარე ბეჯითად ემზადება ახალ დიდ ბრძოლისათვის. რუსებიცა და იაპონელებიც ერთმანეთის ჯარებსა ჰზვერავენ და საჭირო ცნობებსა ჰკრეფენ. გენ. სახაროვის დეპეშებიდანა სჩანს, რომ რუსის მზვერავი რაზმები ბეჯითად მოქმედებენ და მდ. ხუნხედან მოკიდებული სოფ. ფინდიაპუმდე 40 ვერსტის მანძილზე იაპონელების ჯარსა ჰზვერავენ. უნდათ გაიგონ, სად რამდენი ჯარი უდგათ იაპონელებს და რას აპირობენ. იაპონელების ჯარი ამ ჟამად სოფ. სანდიაპუსთან და ჩინტანთან (მდ. ხუნხეს პირად) და მდ. შახეს პირადა დგას ვიდრე სოფ. ბანიუპუზამდე. გენ. ოკუს არმიას შახეს გაღმა-გამოღმა უჭირავს სოფლები. ზოგიერთ სოფლის თავში რუსები დგანან, ბოლოში—იაპონელები. გენ. ნოძუს არმია შახეს მარცხენა ნაპირას დგას, გენ. კუროკის არმია, იანტაის მაღაროებთან, ტუმინლინის უღელტეხილთან და ლაგოუსთან. რუსის ჯარი ყველგან იაპონელების წინ დგას და ზოგგან მოწინავე რაზმები სულ 600 ნაბიჯის მანძილზე დგანან ერთი-ერთმანეთიდან და, როგორც ჰფიქრობენ, მალე ეცემიან ერთმანერთს. („ნ. დ.").

„სიბირსკი ვრაჩებნი ვედომოსტი"-ს ატყობინებენ: 10 აგვისტომდე მანჯურიაში 4 სამხედრო საავადმყოფო მოქმედებდა და 4 საავადმყოფო წითელ ჯვრისა. 10 აგვისტო ამ საავადმყოფოებში 496 დაჭრილი და სნეული აფიცერი იწვა და 17,841 სალდათი. ამას გარდა შუაგულ რუსეთსა (დაახლოვებით 1000 კაცი) და სუსტ სალდათების რაზმებშიაც (რამდენი გაიგზავნა ამ რაზმებში—ცნობა არაა) გაიგზავნა დაჭრილი და სნეული მეომრები. 1 აგვისტომდე ამ საავადმყოებში 29 დაჭრილი და 606 სნეული აფიცერი და 8,00 დაჭრილი და 23,496 სნეული სალდათი მოიყვანეს; სულ 1 აგვისტომდე 900 აფიცერი და 31,500 სალდათი მოიყვანეს. ამას გარდა პორტ-არტურიდანაც 860 კაცი მოი

ყვანეს. რუსის არმიაში ხალხი ბევრ ნაწილად კუჭის სნეულებით ხდებოდა ავად; უეჭველია, ეს გადამდები სენი იყო. დასახიჩრულ, დაჭრილებს მრავალ საეროზო და სათავად-აზნაურო საავადმყოფოებშიაც აწვენდნენ. აქ ეს დაჭრილები ნაანგარიშები როდია... („რ. ვ.").

დღემდე ვერ გაიგეს, რა მოუვიდათ გერმანიისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტებს. ფოსტის მოხელე ფრანგი ფრელიუ სწერს ამის თაობაზე: 17 აგვისტოს, იმ დღეს, რა დღესაც საფრანგეთის აგენტი კიუვერვილი და გერმანიისა გილგენგეიმი პორტ-არტურიდან ჯონკით გამოვიდნენ, მე ჩინეთის ზღვაში ვიყავ; წინა დღისით შანხაიდან გამოველ და იოკოგამაში მივდიოდი. იმ დილით ზიკავეის ობსერვატორიამ გამოაცხადა, ჩრდილოეთიდან საშინელი ტაიფუნი (ქარიშხალი და ღელვაა) მოდისო. მართლაც და ტაიფუნმა იმ დღეს პეჩილიის სრუტეში ჩამოიარა. მე ვფიქრობ, რომ ორსავ აგენტის ჯონკაც ამ ტაიფუნში მოჰყვა და დაიღუპა სადმე. („ნ. დ.").

ბრძოლა მდ. შახეზე. როგორც ვიცით, 2 ოქტომბერს იაპონელებმა მდ. შახეზე „ხიანი გორა" წაართვეს რუსებს, მაგრამ რუსებმა მეორე დღეს, გამწვავებულის ბრძოლის შემდეგ, ისევ დაიბრუნეს ეს გორა.

„ნოვოე ვრემია"-ს კორესპონდენტი იუწყება: „ხიან გორის" წვერი, სადაც ხე დგას, ციმბირის მე-36 პოლკმა აიღო. პოლკის უფროსმა ბიკოვმა იაპონელებს სამხრეთიდან მოუარა და გორის ძირას რომ მივიდა, პოლკი ორ რაზმად გაჰყო: ერთს თითონ გაუძღვა, მეორეს კაპიტანი იაგოდკინი, მე-9 დივიზიის დროებითი შტაბის უფროსი. გორის წვერს რომ მიატანეს, ბიკოვმა უბძანა იაგოდკინს, შტაბში წადით, ამბავი შეატყობინეთო, მაგრამ იაგოდკინმა სთხოვა, ჩემი რაზმი ხემდე მიმაყვანინეთო. რაზმი სანგრებს მიუახლოვდა, „ურა" შემოსძახა და იაპონელებს ეცა. იაგოდკინს ერთი იაპონელი უნტერ-აფიცერი ეცა და შტიკი დაჰკრა. იაგოდკინმა ხმალი შემოუქნია, მაგრამ იაპონელმა შიგ გულში დააძგერა, დაჰკრა შტიკი და ხელად ძირს დასცა. სალდათი პოპოვი მიეშველა იაგოდკინს, თითონაც ტყვია მოჰხვდა და იქვე უსულოდ დაეცა. იაგოდკინს თავისი მოსამსახურე სალდათიც მიეშველა, მაგრამ ესეც ხელად მოჰკლეს. ბევრი რუსი მიაწვინეს ამ „ხიან გორაზე". იაგოდკინი და იმისი ამხანაგები ხის ქვეშ დაასაფლავეს გორის წვერზე...

„ხიან გორაზე" ბრძოლის დროს რუსებს 21 ბატალიონი ჰყავდათ, იაპონელებს 2 პოლკი,—მე-20 და მე-40, ანუ ექვსი ბატალიონი: იაპონელების პოლკში 3 ბატალიონია... ამ ბრძოლის დროს რუსის მე-36 პოლკის ზოგიერთი როტა სულ დაიღიაო. („რ.").

„ეკო დე პარი"-ს დეპეშით ატყობინებენ პეტერბურგიდან: „ხიან გორის" აღების დროს რუსებს 4 ათასი კაცი მოუკლეს და დაუჭრესო. („ნ. დ.").

„ხიან გორაზე" იაპონელებმა 9 საველე ზარბაზანი, 5 სამთო და 1 ტყვიის მტყორცნელი დატოვეს; 11 ზარბაზანი და 1 ტყვიის მტყორცნელი მაშინვე იპოვეს რუსებმა, 3 ზარბაზანი მეორე და მესამე დღეს იპოვეს. ამ ომის დროს ეს პირველად აიღეს დავლა რუსებმა. წართმეული ზარბაზნები გენ. კუროპატკინის სადგომთან დადგეს... („რ. ვ.").

იაპონიის საელჩომ ლონდონში შემდეგი ოფიციალური დეპეშა გამოაცხადა: მარშალი ოიამა იუწყება, სამხედრო მოქმედების ასპარეზზე არაფერი ცვლილება არ მომხდარა. მარცხენა არმიამ (ოკუს არმიამ) 8 ოქტომბრამდე 47 ზარბაზანი წაართო რუსებს: ამათგან 27 მარცხენა რაზმმა ჩაიგდო ხელში, 16 მარჯვენამ. ჩვენმა მზვერავებმა 8 ოქტომბერს ღამეს 200 მოკლული რუსი იპოვეს შინდინპუს ახლო. („მ. ვ.").

ამას გარდა, გენ. ნოძუს არმიამაც წაართო რუსებს ზარბაზნები.

ბრძოლა იანტაისთან, 26-30 სექტემბერს. 22 სექტემბერს რუსის არმიამ სხვა-და-სხვა გზით სამხრეთისაკენ გაილაშქრა და სხვა-და-სხვა ადგილას იაპონელებს შეებრძოლა. ინგლისურ გაზ. „დეილი ნიუს"-ის კორესპონდენტი სწერს: გალაშქრების დროს რუსის აღმოსავლეთის რაზმში ვიყავ; 25 სექტემბერს აღმოსავლეთისა და დასავლეთის რაზმებმა ერთბაშად წინ გაილაშქრეს, ლიაოიანამდე აპირობდნენ ჩასვლას. რუსის ჯარს მტკიცე იმედი ჰქონდა გამარჯვებისა. მეორე დღეს აღმოსავლეთის რაზმი სოფ. ბანიუპუზამდე ჩავიდა და თითქმის უბრძოლველად აიღო ბანიუპუზა. 27 სექტემბერს გენ. კუროპატკინისაგან მოლოცვის წერილი მოვიდა. მთავარ-სარდალი ბანიუპუზას აღებას ულოცავდა გენ. შტაკელბერგს. 28 სექტემბერს რუსებმა იაპონელების უმთავრეს პოზიციებზე მიიტანეს იერიში. ერთმა კორპუსმა ტუმინლინისა და ჩოუშანლიანის ულელტეხილებზე მიიტანა იერიში და, მედგარ ბრძოლის შემდეგ, რამდენიმე პოზიცია აიღო. რუსის სალდათებს მძიმე ბარგი ეკიდათ და მაღალ გორებზე ძლივს-ძლივობით ადიოდნენ. იაპონელები მთის წვერებზე იდგნენ. რუსები 50 ნაბიჯის მანძილზე მიუახლოვდნენ, მაგრამ ზევით კი ველარ ავიდნენ. მთელი ღამე გასტანა ბრძოლამ, მაგრამ რუსები მაინც ვერ ავიდნენ იაპონელების პოზიციებთან. 29 სექტემბერს ამბავი მოვიდა, რომ გენ. ოკუმ და ნოძუმ მედგარი იერიში მიიტანეს რუსის დასავლეთ არმიაზე და დიდის ზარალით უკან დაახევინესო. რუსის აღმოსავლეთის რაზმი მაინც ისევ თავის პოზიციებზე დარჩა. 30 სექტემბერს იაპონელებმა თითონ მიიტანეს იერიში აღმოსავლეთ რაზმის მარჯვენა ფრთაზე. ორი რუსის დივიზია საჩქაროდ გაქანდა ამ ფრთის საშველად, მაგრამ სანამ მივიდოდა, იაპონელებს მაღალი გორები დაეჭირათ და ზედ გამაგრებულიყვნენ. რუსებმა ველარ აიღეს ეს გორები და 30 სექტემბერს ნაშუადღევის 3 1/2 საათზე ბრძოლა შეაყენეს და ღამით ჩრდილოეთისკენ დაიხიეს. („რ.").

ბ. ნემიროვიჩ-დანჩენკოც ამ რაზმთან იყო. დანჩენკო სწერდა: ტუმინლინის ულელტეხილიდან ლიაოიანის გორები დავინახეთო.

პორტ-არტური. იაპონელები ახალ დიდ საალყე ზარბაზნებსა ჰგზავნიან პორტ-არტურისათვის. ჩიფუდან ამბავი მოვიდა, ღალნში ყოველ დღე არტილერია მოაქვთ გემებითაო. ამ ჟამად იაპონელები 400 ზარბაზანს უშენენ ციხეს. ეს ზარბაზნები მგლის გორასა და დაგუშანს შუა უდგათ. იაპონელებს მაშველი ჯარიც მოსდით. წარსულ კვირას 5 ათასი კაცი მოუვიდათ. ჰფიქრობენ, პორტ-არტური დიდ ხანს ვერ გასძლებსო.

რუსის არმიის მთავარ სადგომში კი (მუკდენში) ჰფიქრობენ, რომ პორტ-არტური ახალ წლამდე გაუმაგრდება იაპონელებსაო.

„ლოკალ ანცაიგერ"-ი იუწყება: შანხაიში ხმა გავრცელდა, ვითომ იაპონელებმა რუსის კრეისერ „ბაიან"-ს ყუმბარები მოახვედრეს და ჩაძირესო. („ნ.").

„ლოკალ ანცაიგერ"-ის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება: იაპონიის პორტ მოძიში 168 რუსი მოიყვანეს პორტ-არტურთან დატყვევებულიო. („ნ. დ.").

საუბარი რუსის სალდათთან. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტს ბ-ნ ნემიროვიჩ-დანჩენკოს ლიაოიანის გზაზე ღამე ერთი რუსის სალდათი შეჰხვედრია და ერთად წასულან ლიაოიანისაკენ (მაშინ ლიაოიანი ჯერ რუსების ხელში იყო). გზა და გზა სალდათს ლაპარაკი ჩამოუგდია.

— იცით, რა ბატონო, ერთი რამ მინდა გკითხოთ, აქ ყველანი ამბობენ...

— აბა რას ამბობენ?

— ხალხის სულელურ ლაპარაკს კი ნუ იწყენთ...

— რისთვის მეწყინება?

— აი რა... ვითომ ჩვენ (რუსები) სხვისათვის ვომობდეთ.

— აბა ვისთვის?

— ლაპარაკობენ, ეს ქვეყანა ინგლისსა სჭირია, თავისი ადგილი ცოტა აქვს და ეხლა ჩვენ ინგლისისათვის ვცდილობთო. ამ ადგილებს რომ დავიჭერთ, ჩვენ თითონ წავალთ, ინგლისი კი მოვა და ყველაფერს ხელში ჩაიგდებსო.

— სხვისა ხელით დაიჭერს?

— მაშ როგორა გგონია? სხვისა ხელითაა კარგი და!

გამეცინა.

— მაშ სისულელეა ესა?

— რასაკვირველია. ყველასაც ეგრე უთხარ, სისულელეა ეგა-თქო.

— განა არა, მე თვითონაც ვფიქრობდი, რომ ეგ სისულელე იქმნებოდა. ეგაა ხალხი ყბედობს...

— გზა ხომ ჩვენია?

— რკინის გზა? ჩვენია.

— ეგ ერთი. პორტ-არტურიც ხომ ჩვენია?

— მოიხსენეთ... განა ადგილი გვაკლია? აი მე თითონ ენისეის გუბერნიიდან გახლავარ, ღმერთო მაღალო—რამდენი მიწა გვაქვს. საშინლად ბევრი გვაქვს. გახვალ, გაიხედავ და ჰფიქრობ: ვინ მოუვლის და უპატრონებს ამ თვალგადუწვდენელ მინდვრებსაო... სადაც-კი ვყოფილვარ—კრასნოიარსკში, თუ მანუსინსკში—ყველგან აუარებელი მამულია.

— ჩვენ (რუსებს) ზღვაში გასავალი გვინდა.

— რისთვის?

— საქონლის გასატანად...

— საქონლის გასატანად?.. საქონელს ჩვენ უფრო ურმებითა და პოვოზკებით ვეზიდებით. რკინის გზით ძლიერ ცოტა გადაგვაქვს. მეტად დიდი ქირაა: ჩვენ ისევ უფრო, ძველებურად მამა-პაპურად ქარავნებით ვრჩეობთ ზიდვას. აი აქ რომ რკინის გზაა, აქვე გვერდზე ქარავანი მიდის... საქონელიო. მე-კი მეგონა, რომ რკინის გზას საქონელი ჩვენთვის არ მოჰქონდა. ეგეც სხვისა ჯიბეში ჩადის...

— ვისაში?

— უცხო ხალხის ჯიბეში... („რ. ს.").

ახალი ამბავი

✦ გუშინ, 15 ოქტომბერს, ტფილისის ქალაქის მოურავის მოადგილემ თავ. ჩერქეზიშვილმა შემდეგის შინაარსის წერილი მიიღო იაკობ კონსტანტინეს ძის ზუბალაშვილისაგან: „მე და ჩემმა ძმებმა ლევან და პეტრე კონსტანტინეს ძე ზუბალაშვილებმა გადავწყვიტეთ ჩვენის გარდაცვალებულის ძმის **სტ. კონსტ. ზუბალაშვილის** ხსოვნის სახსოვრად შევწიროთ 100,000 მანეთი ტფილისს, რომ ამ ფულით გამართულ იქნას ბავშვთა საავადმყოფო სტეფანე კონსტ. ზუბალაშვილის სახელობაზე. გთხოვთ აცნობოთ ჩვენი გადაწყვეტილება ქალაქის საბჭოს და მოახსენოთ, რომ შემუშავებულ იქნეს პირობები ბავშთა საავადმყოფოს გამართვის შესახებ". ქალაქის მოურავის მოადგილემ გადასწყვიტა ბ-ნი ზუბალაშვილების შეწირულების შესახები მოხსენება ორშაბათს, 18 ოქტომბერს, წარუდგინოს ქალაქის საბჭოს.

✦ როგორც გავიგეთ, ახლად გარდაცვალებულ **სტეფანე ზუბალაშვილის ძმებს** განსვენებულის სახსოვრად შეუწირავთ ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის შენობის ასაგებად 50 ათასი მანეთი და „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისთვის" 10 ათასი მანეთი.

✦ გუშინ, 15 ოქტომბერს, ტფილისის **სამხედრო ბეგრის საკრებულომ** დაიწყო მოქმედება. იმათი წლოვანება, რომელთაც მოწმობები ვერ წარადგინეს წლოვანების შესახებ, გარეგნულ შეხედულობით უნდა გამოარკვიონ. შემდეგ საკრებულომ განიხილა სიები და გამოარკვია უფლებანი, ვინ რომელ ხარისხით უნდა ისარგებლოს ჯარში გაყვანის დროს. დღეს, 16 ოქტომბერს, კენჭის ყრა მოხდება, ხოლო ხვალ, 17 ოქტომბერს, ექიმები შეამოწმებენ ყმაწვილ კაცებს.

✦ ტფილისის ქალაქის საბჭომ ამ ორი წლის წინად გამგეობის წევრის თანამდებობაზე კენჭის ყრით სამი კანდიდატი ამოარჩია, მაგრამ საგუბერნიო მთავრობას დასამტკიცებლად მხოლოდ ერთი, გ. ნ. სტეფანოვი, წარუდგინა. საქალაქო საქმეთა საკრებულომ სტეფანოვი არ დაამტკიცა და მოითხოვა სამივე კანდიდატის წარდგენა. როდესაც წარუდგინეს, საგუბერნიო მთავრობამ ამოარჩია და გამგეობის წევრად დაამტკიცა პ. ნ. კოკჩაევი. ასევე მოხდა მოურავის მოადგილის არჩევის დროს. ქალაქის საბჭომ ასეთი დადგენილება საკრებულოსი **განახაჩივრა სენატში.** გუშინ გუბერნატორმა ამ საქმის შესახებ სენატის გადაწყვეტილება გაუგზავნა ქალაქის მოურავის მოადგილეს საბჭოსადმი საცნობებლად. სენატის გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საბჭოს, საქალაქო დებულების მე-115 და 118 მუხლების თანახმად, შეუძლიან ერთს თანამდებობაზედ რამდენიმე კანდიდატი აარჩიოს, მაგრამ ყველანი კი უნდა წარუდგინოს საგუბერნიო მთავრობას, რომლისაგანაც დამოკიდებულია დამტკიცება ამა თუ იმ კანდიდატისა. ასე უნდა მოქცეულიყო ტფილისის ქალაქის საბჭოცაო. სენატმა უყურადღებოდ დასტოვა საბჭოს საჩივარი.

✦ 14 ოქტომბერს ტფილისის სამოსამართლო პალატა შეუდგა **40 განჯელ სომხის საქმის გარჩევას.** ამ სომხებს ჰბრალდებათ პოლიციის მოხელეთათვის სამსახურის აღსრულების დროს წინააღმდეგობის გაწევა. პალატაში ამ საქმის შესახებ მოხსენებამ და კამათმა გასტანა გუშინ, 15 ოქტომბერს, შუა ღამემდე. პალატა განაჩენს ამ საქმის შესახებ გამოაცხადებს დღეს, 16 ოქტომბერს.

✦ ოფიციალურის ცნობებით, 12 ოქტომბერს **ბაქოში ხოლერით ავად გამხდარა** 1, გარდაცვლილა 4 კაცი (სამი კაცი წინანდელი ავადმყოფია).

✦ გაზეთ „რუს"-ში ვკითხულობთ: „საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს „კრიმსკი ვესტნიკი". გაზეთს გაუგონია, რომ სიმფეროპოლის სომხთა საეკკლესიო საბჭოს მიეცა სრული დამოუკიდებლობა **სომხთა სკოლების მართვა-გამგეობის საქმეში.** თუ ეს ხმა მართალია, საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ გაუქმებული იქნება ის დადგენილება, რომლის ძალითაც სომხთა საეკკლესიო ქონება ხაზინის ხელში გადავიდა".

✦ „პრავ. ვესტ."-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლის ძალითაც **ქალაქ ბათუმს** ნება ეძლევა 1902 წლის 1 იანვრამდე შემდგარ საფუთო გადასახადიდან **დახარჯოს:** 450 ათასი მანეთი ქალაქში წყლის მილის გასამართავად და 218 ათასი მანეთი—ქაობების დასაშრობად.

✦ 14 ოქტომბერს მოხდა შეერთებული სხდომა ტფილისის ქალაქის გამგეობისა და ხმოსან-ტეხნიკოსთა განზრახულ **საელექტრონო სადგურის** შესახებ მოსალაპარაკებლად და ამისათვის საჭირო ადგილის ასარჩევად. სხდომამ პრინციპიალურად გადასწყვიტა აავოს სადგური პაპკოვისეულ ადგილზე, ვანქის ეკკლესიის ქვემოდ. რადგან ეს ადგილი საკმაო არ იქნება, სხდომამ დაადგინა, მოელაპარაკონ იქვე მეორე ადგილის პატრონს შიოევს და მიწათ-მოქმედების მინისტრის რწმუნებულს, რომლის განკარგულებაშიაც სომხთა საეკკლესიო მამულებია, რომ დაუთმოს ქალაქს პაპკოვისეულ მიწასთან მდებარე ადგილები.

✦ მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა შეატყობინა გუშინ კავკასიის სასოფლო სამეურნეო **საზოგადოების საბჭოს**, რომ ყოველი შუამდგომლობა, რომლითაც სამეურნეო დაწესებულებანი კავკასიაში ფულით დახმარებას თხოლობენ სამინისტრო-

ფელეტონი

პატარა სტატისტიკა

რაც უნდა პესიმისტური შეხედულებისა იყოს კაცი ჩვენს საზოგადოებრივ მდგომარეობაზე, რაც უნდა შავად და უიმედოდ ეჩვენებოდეს ჩვენი საერთო ბედ-იღბალი, არ შეიძლება ერთი მოვლენა მაინც ვერ შეამჩნიოს, რომელიც ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო არის. ესაა—ამ უკანასკნელ ხანებში ქართულ წიგნისა და ჟურნალ-გაზეთის გავრცელება ხალხში და მკითხველთა რიცხვის გამრავლება ქართველებში. ეს ისეთი ცხადი მოვლენაა, რომ მისი უარისყოფა არ შეიძლება. დღეს ბევრად მეტი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იბეჭდება ჩვენში, ვიდრე ამ ათისა და თხუთმეტის წლის წინად. დღეს საქართველოს ისეთ მიყრუებულ ადგილას შეჰხვდებით ქართულ წიგნსა და გაზეთს, სადაც წინად ნაბეჭდ ქაღალდს სრულიად არ იცნობდნენ. ხალხის კულტურული მოთხოვნილება შესამჩნევად მატულობს და ეს, სხვათა შორის, მკითხველთა რიცხვის გამრავლებასა და ნაბეჭდ ნაწარმოებთა ბაზრის გადიდებაშიაც გამოიხატება. რამდენადაც ძველი სადა ცხოვრება იცვლება, ურთიერთობა რთულდება, უცხოეთის გავლენა დიდდება, მოქალაქეობრივობა ვითარდება და სკოლები მრავლდება, იმდენადვე მატულობს კითხვის მოთხოვნილება და ვრცელდება ხალხში ჟურნალ-გაზეთობა.

მაგრამ ეს განვითარება ჩვენი ქვეყნის სხვა-და-სხვა მხარეებში ერთნაირის ზომითა და სისწრაფით არ სწარმოებს. ამ წინმსვლელობაში ზოგი კუთხე უფრო ჩამორჩენილია, ზოგიც უფრო წარმატებული და წინწასულია. ამ ვითარების გამოკვლევა, მისი ციფრებით გამოხატვა ძალიან საინტერესო არის და ამიტომ სასარგებლო საქმეს შეასრულებს, ვინც ამისთვის მასალას შეჰკრებს და გამოაქვეყნებს. ჩვენ გვინდა დღეს ამ საგნის ერთ კერძო და სპეციალ მხარეს შევეხოთ და საკითხის გარკვევაში მცირე წვლილი შევიტანოთ. ჩვენ ხელთა გვაქვს მასალა, რომელიც „ცნობის ფურცლის" ხელის მომწერთა რაოდენობას შეიცავს და ხალხში ამ გაზეთის გავრცელებას ჰხატავს. მართლაც, გაზეთი ყოველ დღე იბეჭდება და საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებში ეგზავნება ხელის მომწერთ. საინტერესოა, გამოვარკვიოთ, თუ სად და რომელ მხარეში ჰყავს ამ ჩვენს გაზეთს მეტი მკითხველი, რომელი კუთხე, გაზეთის მოთხოვნილებისა და კითხვის მხრით, უფრო დაწინაურებული და რომელი—უფრო ჩამორჩენილი.

რასაკვირველია, გაზეთის გავრცელებისთვის, გზების გარდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ხალხში სკოლების გამრავლებასა და წერა-კითხვის გავრცელებას. ვისაც შეუდარებია ამ მხრით ერთმანეთთან ჩვენი სამშობლოს ორი მხარე—იმერეთი და ამერეთი,—მკითხველთა სტატისტიკის გაუცნობლადაც შეუძლია დაასკვნას, თუ შედარებით სად უფრო უნდა ვრცელდებოდეს გაზეთი და პერიოდულ გამოცემას სად უფრო უნდა ჰყავდეს მკითხველი. როგორც სკოლების სიმრავლით, ისე წერა-კითხვის გავრცელების მხრით იმერეთი ბევრად აღემატება ამერეთს. 1902 წელს იყო ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში: 1129 ქართველი მოსწავლე (65,9%) ქუთაისის გუბერნიაში და 583 (34 1%) ტფილისისაში; დაბალ სასწავლებლებში: 3054 ანუ 71,7% ქუთ. გუბ. და 1209 ანუ 28,3% ტფილ. გუბ.; პირველდაწყებითში: 20165 ანუ 79,3% ქუთ. გუბ. და 5277 ანუ 20,7% ტფილისისაში. თუ ქართველ ხალხის საერთო რიცხვს მივიღებთ მხედველობაში და მოსწავლეთა რაოდენობას მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით გავანგარიშებთ, იმერეთს ჰყოლია 3,8%-ით მეტი მოსწავლე ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში, 9,6%-ით მეტი—დაბალ სკოლებში და 17,2%-ით მეტი—პირველდაწყებითში ხოლო ტფილისის გუბერნიის ქართველობას—ამდენივე პროცენტით ნაკლები. 10 ათას ქართველზე მოდის საშუალო რიცხვით 13 მოსწავლე ქუთ. გუბერნიის ვაჟთა საშუალო სასწავლებლებში და 12 მოსწავლე ტფილისისაში; 33 მოსწავლე პირველ გუბერნიის დაბალ სკოლებში და 27 მოსწავლე ტფილისისაში; 218 მოსწავლე ქუთაისის გუბერნიის პირველდაწყებით სკოლებში და 112 ტფილ. გუბ.-ში საერთოდ ყველა სასწავლებლებში სწავლობდა ქუთაისის გუბერნიაში 1902 წელს 26863 ქართველი ანუ 10 ათას ქართველ მცხოვრებზე 291 მოსწავლე, ხოლო ტფილისის გუბერნიაში—9182 ანუ 10 ათას მცხოვრებზე 191 მოსწავლე. ცხადია, წერა-კითხვისა და საზოგადოდ სწავლა-განათლების მხრით იმერეთის ქართველობა წინ უსწრებს ამერეთისას. და, რა თქმა უნდა, რაც უფრო მეტადაა ხალხში წერა-კითხვის ცოდნა მოფენილი, მით უფრო დიდი და ნაყოფიერია ნიადაგი გაზეთის გასავრცელებლად მკითხველთა მოსაპოვებლად. ამ აზრს სავსებით ამტკიცებს გაზეთის მკითხველთა სტატისტიკაც. „ცნობის ფურცელი" იბეჭდება ხუთშაბათ-კვირაობით 6600 ცალი, ხოლო სხვა დღეებში—6100. საშუალო რიცხვით ყოველ დღე იბეჭდება 6200 ცალი. ამ რიცხვიდან 1030 ცალი გადის ტფილის-ქუთაისის გუბერნიების გარედ,—ე. ი. ეგზავნებათ საქართველოს გარედ მცხოვრებ მკითხველებს: კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქებში, რუსეთში და უცხოეთში, ხოლო დანარჩენი 5170 ცალი ვრცელდება თვით საქართველოში. გურიაში მიდის 255, ბათუმის ოლქში—410, სამეგრელო-აფხაზეთში—544, იმერეთში—1336, ქართლში (უტფილისოდ)—520, ტფილისსა და ტფილისის მაზრაში—1718 და კახეთში—387. საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში გადის 2545 ცალი, ხოლო ტფილისისაში 2625 ცალი, აქედან მარტო ტფილისში—1693.

ეს აბსოლუტური ციფრები არ არის საკმარისი სხვა-და სხვა კუთხეების ერთმანეთთან შესადარებლად. ამისთვის საჭიროა ერთი რამე საზომი ავიღოთ და ამ საზომის საფუძვლით საქართველოს სხვა და-სხვა მხარეები ერთმანეთს დავუპირდაპიროთ და შევადაროთ. ასეთ საზომის მაგიერობას გაგვიწევს ამ შემთხვევაში ხალხის რაოდენობა. თუ თითო ოჯახში საშუალო რიცხვით 5 სულს გავანგარიშებთ, ყოველ ათას ოჯახზე მოდის გაზეთი:

გურიაში	15,3 ცალი
ბათუმის ოლქში	8,8 „
სამეგრელო-აფხაზეთში	7,9 „
სამეგრელოში	8,7 „
გურიასა და ბათუმის ოლქში ერთად	10,6 „
გურიასა და სამეგრელოში ერთად	10,4 „
იმერეთში (ოთხი მაზრა)	13,5 „
გურიასა, სამეგრელოსა და იმერეთში ერთად	12,3 „
ქუთ. გუბერნიაში (სოხუმ. ოლქ. გამოკლებით)	11,5 „
ქართლში (ტფილისის მაზრის გამოკლებით)	6,4 „
ტფილისის მაზრაში (უტფილისოდ)	1,7 „
კახეთში	5,8 „
ტფილისის გუბერნიაში	13,5 „
„ „ (ტფილისის გამოკლებით)	5,7 „

როგორც ჰხედავთ, ყველაზე წინ გურია არის. აქ საშუალო რიცხვით ათას ოჯახს 15,3 ცალი გაზეთი უწევს. ეს დაწინაურება კიდევ უფრო დიდად გვეჩვენება, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იქ ქალაქი და ქალაქური ცხოვრება, შეიძლება ვთქვათ, სრულიად არ არის. ოზურგეთი უფრო დაბაა, ვიდრე ქალაქი, როგორც, მაგ., ზუგდიდი, ახალსენაკი, ჭიათურა, ხაშური და სხვ. გაზეთის გამსაღებელი კი უმთავრესად ქალაქი არის და არა სოფელი. ათას ოჯახზე მოდის გაზეთი: ბათუმში—67,4, ფოთში—75,0, ქუთაისში—102, თელავში—70,8, სიღნაღში—52,2, ახალქალაქში—12,7, ახალციხეში—5,5 ტფილისში—52,7, ხოლო ოზურგეთში (ამასაც ქალაქად ჩავთვლით) 165,5 ცალი.

თუ ქალაქებს არ ვიანგარიშებთ და მარტო სოფელს მივიღებთ მხედველობაში, ათას ოჯახზე უწევს:

გურიას (როგორც აღვნიშნეთ)	15,3	ცალი გაზ.
ბათუმის ოლქს	0,6	„ „
სამეგრელოს	6,4	„ „
იმერეთს	7,3	„ „
ქართლს (ტფილ. მაზ. გამოკლებით)	5,5	„ „
ტფილისის მაზრას	1,7	„ „
კახეთს	2,0	„ „
ქუთ. გუბერნიას (სოხ. ოლქ. გამოკლებით)	6,3	„ „
ტფილისის გუბერნიას	3,2	„ „

საგან **სამეურნეო გამოფენების გასამართავად**, უნდა წარედგინოს ხოლმე მინისტრის რწმუნებულს კავკასიაში არა უგვიანეს 1 დეკემბრისა (გამოფენის წინა წელს). ამასთან სამეურნეო საზოგადოებებმა უნდა აცნობონ მიწათ-მოქმედების რწმუნებულს: 1. როგორი გამოფენა იმართება ე. ი. საზოგადო სამეურნეო თუ სპეციალური, მაგ. მეფუტკრეობისა, მებაღეობისა, მეღვინეობისა, მეაბრეშუმეობისა და სხვ. 2. რამდენად იმართება გამოფენა იმ რაიონში; 3. როდის გაიმართება გამოფენა; 4. რამდენი ფული აქვს გადადებული და სხვა.

◆ შარშან **ბათუმის ლოტრანგთა** საეკკლესიო საბჭომ შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ბათუმში ბარიატინსკის, ბებუთოვის და პუშკინის ქუჩებს შუა თავისუფალ მიწის ნაჭერზე, რომელიც ქალაქის საბჭომ დაუთმო ლოტრანგთ, სამლოცველოს აგების ნება მიეცა. ეხლა შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა მთავარ-მართებელს, დააკმაყოფილოს ლოტრანგთა შუამდგომლობა. მთავარმართებელი ამის გამო ქართლ-კახეთ-იმერეთის სასინოდო კონტორას შეეკითხა, სასულიერო მთავრობის მხრივ ხომ არავითარი დაბრკოლება არ არის, რომ აღნიშნულ მიწის ნაჭერზე ბათუმელმა ლოტრანგებმა ქვის სამლოცველო ააგონო.

◆ როგორცა ვწერდით, 12 ოქტომბერს ვიღაც **შეიარაღებულმა კაცებმა** ლანჩხუთისა და ჯუმათის სადგურებს შუა გაძარცვეს ორი გზის დარაჯი. ამ საქმის გამო პოლიციას შეუპყრია ექვსი კაცი—იესე ჯორბენაძე, ერმალოზ თავართქილაძე, ბართლომე კუნგულია, დიმიტრი იმნაძე, ნოე კუნგულია და გიორგი ხუტუნაიშვილი.

◆ ტფილისის ქალაქის გამგეობას გუშინ საგუბერნიო გამგეობამ აცნობა, რომ საქალაქო დებულების მე-121 მუხლის ძალით, სახელმწიფო სამსახურში ითვლებიან ქალაქის მოურავი, მისი თანაშემწე, გამგეობის წევრნი და ქალაქის მდივანი, ამიტომ შეგვატყობინეთ, ქალაქის უბნის არქიტექტორი ა. შელიქ ბეგლიაროვი რა კანონის ძალით იქნა ჩარიცხული სახელმწიფო სამსახურშიო.

◆ ტფილისის სანიტარო კომისიას განუცხადა გუშინწინ ტფილისის პოლიციის მეათე ნაწილის სანიტარო მზრუნველმა ექიმმა ნ. ხუდადოვმა, რომ უდროობისა გამო, მზრუნველის თანამდებობიდან გამანთავისუფლეთო. ნ. ხუდადოვის ნაცვლად მზრუნველის თანამდებობაზე კომისიაში სთხოვეს და სურვილი გამოაცხადა ხმ. ა. ს. ღულაძემ.

◆ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ გროზნოდან გადმოსულმა შეიარაღებულ ქისტებმა, რიცხვით 14 კაცმა, გადალახეს თუშეთი და პანკისის ხეობიდან 50 სული მსხვილ-ფეხა საქონელი გაალალესო. ამ საქმეზე თიანეთის მაზრის უფროსმა მდევრად გროზნას გაგზავნა თუშ-კახეთის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ცისკარაშვილი. და, როგორც ამ ჟამად გვატყობინებენ, ცისკარაშვილს 8 კაცი უკვე შეუპყრია ამ ავაზაკთაგანი. სროლის დროს ერთი დაჭრილა. საქონლიდან მხოლოდ 3 სული გამოჩენილა, დანარჩენი ბოროტ-მოქმედთა ხელშია ჯერ კიდევ.

◆ სიღნაღიდან გვატყობინებენ, რომ ზიარის გზაზე თ-დ შალიკაშვილის ზვართან უპოვიათ თოფით მოკლული გვამი სოფ. არაშენდას (კოდალოს საზოქულო) მემამულის ზაქარია ჩაჩუნაშვილისა.

◆ როგორც თიანეთიდან გვატყობინებენ, უკანა ფშავის შეძლებულ მემამულის ივან კარატიელის ცხვარს, რომელიც მთაში იდგა, დასცემიან შეიარაღებული ქისტები, პირიქით ხევსურეთიდან გადმოსულნი, და 500 სული ცხვარი გაურეკიათ.

◆ პოლიციის მე-2 ნაწილში ლოსტერდიკის ბინაზე იმის მსახურს, გერმანელის ქალს ფრიდერიკა უტცს ღამის 3 საათზე 13 ოქტომბერს გოგირდის სიმჟავე დაულევია შეცდომით. მოწამლული ქალი მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

ბარგუშეთი. 14 ოქტომბერს, როდესაც სახალხო მატარებელმა № 6 მე-583 ვერსი გაიარა, რკინის გზის დარაჯმა ნახა ხელ მომტვრეული და თავ გატეხილი ვიღაც თათარი. დაშავებული ბაქოს საავადმყოფოში გაგზავნეს.

◆ კარაკლისი. ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ რკინის გზის ლიანდაგზე, მე-154 ვერსზე, ორივე მხარეს დაეწყოთ უშველებელი ქვები სწორედ იმ დროს, როდესაც საფოსტო მატარებელს უნდა გამოევლო. მემანქანემ დროზე შენიშნა.

◆ ტფილისის გუბერნატორმა სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის დააჯარიმა შემდეგი სახლის პატრონნი: პირველ უბანში: სოლომონ გერშოვი, ელისაბედ ნიკიფოროვისა, ივანე კასრაძე, გიორგი სულხანიშვილი, პანტელეიმონ სარიევი, ალექსანდრე პოზნიაკოვი, მიხეილ გვიევი, ისრაელ მარკოზოვი, სერგი ევანგულოვი, მიხეილ ჯამბუკიანი, მიხეილ კაფიევი (არაფელოვის მოურავი) ეკატერინა ვარშამოვისა, ტატიანე ცურინოვი, ფირალოვისა (გრიბოედოვის ქ. № 3). მე-4-ე უბანში: ელისაბედ ხოჯაპარუხოვისა, არუთინ აირამოვი. მე-5-ე უბანში: ნინა ბორისოვისა, ალექსანდრე აივაზოვი. მე-6-ე უბანში: ატო ხერუმოვი (სოლომონ კიპრიზოვის სახლის მოურავი) მე-7-ე უბანში: სარქის ოგანეზოვი, აგურხანის პატრონი გაგირ-მამედ-აგი-ოღლი, ნავთის ქარხნის პატრონნი სადგურ ნავთლუხთან—ხაჩატურ ბასენციანცი, გეორქ მანგასარიანცი, იოსებ ნაზარიანცი, იოსებ ტერ-აბრამოვი, გევორქ მანველიანცი, კონსტანტინე გალუსტოვი და მეშადი-რასუმ ქარიმოვი. მე-8-ე უბანში: ქოჩორიანცის სახლის მოურავი—აკობ მატინოვი, იოსებ ხიტაროვი, კეკელა ბათიევა, ირინე ელცევა, გიორგი ხორბალაძე, სტეფანიდა კლემენტიევა, ისაკ თერუნოვი, დავით ზულიევი. მე-9-ე უბანში: ვართანოვი, ზაალიშვილი, შუაქრიშვილი, სოფია ზაქარიშვილი, ყორღანოვი, ხატიაშვილი, ტიმოთე მარკინი, გ. ფ. მადერი, მ. ი. მერგნერი, თ-დ ბაგრატიონ-მუხრანსკი, მექარხნე ს. ი. მაილოვი, იცკა რეიმანი, მარიამ ალიბეგოვისა, ელისაბედ სლივიცკისა, ვასილ იაგოროვი, ვილგელმ მადერი, არუთინ ასრიევი, იოსებ ვარშაკიძე, სოფიო ზაქაროვისა, ტერ-ნერსესოვი, ჯალალოვი, კიაზუმბეგოვი, და პავლე იაგორის ძე ლანცოვი.

პრესსა

რუსეთის გაზეთებმა აღძრეს საკითხი იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქნას საუნივერსიტეტო დიპლომები, ის უფლებანი, რომელთაც უნივერსიტეტებში კურს-დასრულებულთ აძლევენ. დიპლომმა შექმნა კარიერიზმი, დიპლომის გამოყენება თავის საკეთილდღეოდ. მეცნიერების შესწავლა თავის კერძო საქმეების მოწყობისათვის „გზად და ხიდად" შეიქნა. ამ წესმა შექმნა ისეთი ნიადაგი, რომელზედაც მრავლად თავს იყრიან ფუქსავატი მიმართულების ახალგაზდები, რომელთაც მეცნიერება სრულებით არ აინტერესებთ, ფორმალურ-გარეგნულად ეკიდებიან საქმეს და ლექციების გაზეპირებისა და ეგზამენის „ჩაბულბულების" მეტს არას აკეთებენ.

თვალი რომ გადავავლოთ დღევანდელ სტუდენტობას, ნათლად დავინახავთ, რომ კარიერა მათი კერპია. მეცნიერება მხოლოდ უბრალო საფეხურია ამ კერპის წინაშე მუხლის მოსადრეკად. უანგარო მოღვაწეთა, ცნობილ მეცნიერ-მკვლევართა ნაფიქრი, სიღარიბეში შექმნილ-აღზრდილი, გამდიდრების წყაროდ გადაიქცა დიპლომის საშუალებით.

უცნაური სანახავია, როცა უნივერსიტეტ დასრულებული ახალგაზდა ამაყად ატარებს გულზე დიპლომის მიღების ნიშანს, ჯილდოს, ოქროში ჩამჯდარ თეთრ ჯვარს; ერთი რუსის თქმისა არ იყოს: „При жизни сами надъ собой ставятъ крестъ".

თითქო მეცნიერება იმდენად არ აჯილდოვებს ადამიანს, რომ კიდევ პაწია ჯვარის მომატების საჭიროებს, თითქო განათლებულ ადამიანს ეს მცირე „დამატება" სჭირდება, თავისი ღირსების ცხად-საყოფელად.

გაზეთების აზრი მეცნიერებისა და დიპლომის განცალკევების შესახებ თანაგრძნობის ღირსია, რადგან ამნაირად განცალკევდებიან თვით მეცნიერების უანგარო ტრფიალნი და კარიერის კერპის თაყვანისმცემელნი.

გაზეთების აზრით, სამსახურში შესვლის მსურველთათვის განსაკუთრებული საეგზამენო დაწესებულება უნდა დაარსდეს, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არ იქნება უნივერსიტეტთან.

სასამართლო

I

ავი ენის მსხვერპლი

9 ოქტომბერს ქალაქ ახალციხეში ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიის სხდომას დიდძალი საზოგადოება დაესწრო, განურჩევლად წოდებისა და ეროვნებისა. იმდენი ხალხი მოაწყდა დარბაზს, რომ უადგილობისა გამო ნახევარზე მეტი უკან დაბრუნდა. ამ დღეს უნდა გაერჩიათ საქმე ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის მოხელის ვასილ ხაბელაშვილისა, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი იცნობდნენ მუყაით და მშრომელს კაცად. საქმე ის არის, რომ 1899 წელს 16 იანვარს ტფილისიდან ოლთში მეორე გორსკომოზდოკის ჯარის უფროსის სახელზე გაუგზავნიათ 2,300 მან, როცა ადგილობრივ მიუტანიათ ფოსტა, აღმოჩენილა, რომ ვიღაცას ამოუცალა 2000 მან. ოქროს ფული ისე მოხერხებულად, რომ არ იყო შეცვლილი არც ბეჭედი და არც მეშოს ტომარა. საქმე მიყუჩდა, რადგან კარგახანს ძიება-ჩხრეკის შემდეგ დამნაშავე ვერ აღმოაჩინეს და ვერც დაკარგული ფული იპოვეს. 1902 წელს ახალციხის პოლიციაში მისულა „ვოლნოოპრედელიაიუშჩი" ნიკოლოზ ტოლოშაძე და გამოუცხადებია: ვასილ ხაბელაშვილის ცოლმა სოფიომ მითხრა, რომ 1899 წელს ფოსტიდან დაკარგული 2000 მანეთი მოიპარა ჩემმა ქმარმა ვასილ ხაბელაშვილმაო. ხაბელაშვილი დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს. ოლქის სასამართლოში გამოირკვა, რომ ნიკოლოზ ტოლოშაძე, როგორც ნათესავი, ხაბელაშვილის სახლში ხშირად დაიარებოდა და დაახლოვებული ყოფილა იმის ცოლთან. როგორც თითონ ტოლოშაძე გამოტყდა და მოწმეებმაც აჩვენეს სასამართლოში, ხაბელაშვილის ცოლს სოფიოს და ტოლოშაძეს გადაეწყვიტათ ხაბელაშვილის თავიდან მოშორება. უკანასკნელს თავის სიტყვაში ბრალდებულმა განაცხადა: როცა ჩემს ნაპურმარილევს შევატყე კარგი კაცობა, ავითვალწუნე და ბევრჯელ უსიამოვნებაც მომივიდა იმასთან. იმან ოჯახურ ბედნიერების დარღვევა არ მაკმარა და მეც ცრუ მოწმობით მომინდომა თავიდან მოშორებაო. ოლქის სასამართლომ ხაბელაშვილი გაამართლა.

II

ახალციხეშივე ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე ბორჯომის საბოქაულოს სოფელ დვირის მცხოვრებთა გიორგი და სერგო გუაშიძეებისა და კველიშვილისა, რომელთაც ყაჩაღობის განზრახვა ჰბრალდებოდათ. ბორჯომსა და აწყურს შუა ერთს ადგილს დუქანი ყოფილა, სადაც ვაჭრობდნენ მაისურაძე და მგელაძე. 1902 წლის 16 ოქტომბერს ღამე თავს დასცემიან ამ დუქანს, აუტეხიათ თოფის სროლა და ფანჯარები ჩაუმტვრევიათ. შემდეგ დუქანში მყოფთ გაუღიათ კარები და როცა გარედ გამოსულან, აღარავინ ყოფილა, მხოლოდ აიკანზე სისხლი უნახავთ. რამდენისამე ხნის შემდეგ პოლიციას კველიშვილის სახლში უნახავს ჭრილობიანი გიორგი გუაშიძე. უფიქრია, ეს ჭრილობა უსათუოდ დუქნის თავდაცემის დროს მოსვლიაო და პასუხის გებაში მიუცია სამი ზემოდ დასახელებული კაცი. სასამართლომ სამივე ბრალდებული გაამართლა.

რუსეთის ქრონიკა

◆ გამოქვეყნებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რა შედეგი მოჰყვა სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა კრების მუშაობას, რომელნიც მიმდინარე წლის 7—17 აგვისტომდის, საერო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით, ბჭობდნენ საერო განათლების საქმის შესახებ.

მზრუნველთ საჭიროდ სცნეს, საშუალო სკოლების კარგ მასწავლებელთა მოსამზადებლად, დაარსებულ იქნას საპედაგოგიო ინსტიტუტები, სადაც შესვლის ნებას მისცემენ მხოლოდ იმ პირთ, რომელთაც დასრულებული სამეცნიერო განათლება მიუღიათ. რადგან ამ ტიპის ინსტიტუტებს მალე ვერ გახსნიან, მანამდის უნივერსიტეტებში შემოიღებენ პედაგოგიის სწავლებას იმ პირთათვის, რომელნიც მასწავლებლობისათვის ემზადებიან. განზრახულია, სამოსწავლო ოლქებში გამოსცადონ პედაგოგიაში მასწავლებლის ადგილის მიღების მსურველნი. კრებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ახალ ენების სწავლების გაუმჯობესებას. ამისათვის ფილოლოგიურ ფაკულტეტებზე კურს დასრულებულთ საზღვარ-გარედ ჰგზავნიან ენების შესასწავლად. ახალ ენების მასწავლებელთ იმავე უფლებას მისცემენ, რაც სხვა მასწავლებელთ აქვთ. კრების აზრით, მეტად საჭიროა გაუმჯობესებულ იქნას მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობა.

კრების აზრით, სწავლება საშუალო სკოლაში ისე უნდა სწარმოებდეს, რომ ჩაუნერგოს ბავშვს ხელწმიფისა და სამშობლოს მიმართ სიყვარული, საღვთო წერილის საშუალებით. უნდა გაუმჯობესებულ იქნას მოსწავლეებზე ზედამხედველობა, დამტკიცდეს კავშირი სკოლისა და ოჯახის შორის, მიექცეს ყურადღება ფიზიკურ აღზრდას და სხვ.

კრების აზრით, საშუალო სკოლების ტიპი შემდეგი უნდა იქნეს: 8 კლასიანი გიმნაზიები, რომელთა უმრავლეს ნაწილში ბერძნული ენის სწავლება არა-სავალდებულო იქნება; რეალური სასწავლებლები 6 ძირითადი და ერთი დამატებითი კლასით და ექვს-კლასიანი გიმნაზიები, საშუალო სასწავლებლის კურსით, რომელნიც უფლებას მისცემენ საგუბერნიო სამსახურში შესასვლელად, და საშუალო სატეხნიკო და საპროფესსიონალო სასწავლებლები.

იმ გიმნაზიებში, სადაც ორივე ძველ ენას ასწავლიან, ამ ენების სწავლება ვრცელის პროგრამით უნდა სწარმოებდეს, რათა დასრულებული კლასიკური განათლება მისცენ მოწაფეთ.

სხვა-და-სხვა ტიპის სკოლებს ადგილობრივ საჭიროების მიხედვით გახსნიან, რის შესახებ პროექტების შედგენა ოლქების მზრუნველთ მიენდო.

რაც შეეხება უნივერსიტეტებში სწავლების საქმის გაუმჯობესებას, კრება იმ აზრს დაადგა, რომ საჭიროა, პროფესორების მოსამზადებლად, მოემატოს საპროფესსორო სტიპენდიების რიცხვს და თვით ამ სტიპენდიებს და გაუმჯობესებულ იქნას უნივერსიტეტში პრაქტიკული სამუშაო. ლექციების კითხვა თავის დროზე უნდა იწყებოდეს; გაუქმებულ უნდა იქნას ეგზამენების, ფულის შეტანის გადადება, საზოგადოდ სასტიკად უნდა დაცულ იქნას წესდება, რათა სტუდენტებს ჩაუნერგონ გრძნობა მოვალეობისა.

რაც შეეხება დაბალ სკოლებს, კრება იმ აზრს დაადგა, რომ საჭიროა შეთანხმებულ იქნას ამ სფერაში საერო განათლებისა და სასულიერო უწყების მოქმედება. ამიტომ კრებაზე მოწვეულ იქნა სასულიერო უწყების წარმომადგენელი.

სახელმწიფო საბჭოს მიერ გამოთქმულ აზრის თანახმად, შეუძლებელია საერო განათლების რთული საქმე ერთ რომელსამე უწყებაში მოთავსდეს, მხოლოდ უნდა დაცულ იქნას ამ სფერაში ერთგვარი მიმართულება ორივე უწყებისა. კრებაც იმ აზრს დაადგა, რომ თვითეული უწყება დამოუკიდებლად უნდა მოქმედებდეს, ერთგვარის მიმართულების მიხედვით.

სახალხო სკოლების მასწავლებლების მოსამზადებლად, უნდა მოემატოს სამასწავლებლო ინსტიტუტებისა და სემინარიების რიცხვს; მასწავლებელთ იგივე ჯამაგირი უნდა მიეცეთ, რაც გიმნაზიის მასწავლებელთ ეძლევათ.

კრების დადგენილებანი წარმოადგენს მასალას, რომელსაც საერო განათლების სამინისტრო შეიმუშავებს სამოსწავლო საქმის გასაუმჯობესებლად.

◆ „რუს"-ი იუწყება: ხმებია, რომ საერო განათლების სამინისტროში აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ უნივერსიტეტებში მეტი ებრაელები მიიღონ, ვინემ დღემდის ღებულობდნენ. მიმდინარე წელსაც მიიღებენ ებრაელებს ამ ახალ წესის ძალითაო.

◆ ადესის ქალთა საპედაგოგიო კურსების შუამდგომლობით, საერო განათლების მინისტრმა ნება დართო მიიღონ ამ კურსებზე კიდევ 21 ებრაელი ქალი.

◆ გაზ. „რუსკ. ვედ."-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება, აქ ხმებია, რომ მალე ისევ უნდა განახლდეს მოსპობილი „მწერალთა კავშირი" და ხელახლა დაიწყებს მოქმედებას „თავისუფალი ეკონომიური საზოგადოებაო". შინაგან საქმეთა მინისტრი თავ. სვიატოპოლკ-მირსკი თანაგრძნობით მიეგება „მწერალთა კავშირის" თხოვნას ამ საზოგადოების ხელ-ახლად გახსნის შესახებ და დაჰპირდა, მე თვითონ განვიხილავ „კავშირის" საქმესაო.

დეკადენტების ჟურნალი „ნოვი პუტ"-ი ახალ რედაქციის ხელში გადადის და ახალ გზას დაადგება. ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის ცნობილი მწერლები—ბულგაკოვი, ნოვგოროდცევი და ბერდიაევი.

მიმდინარე წლის ბოლოს პეტერბურგს ორი ახალი გაზეთი შეემატება—„ნაშა ჟიზნ" და განახლებული „სინ ოტეჩესტვა", რომელშიაც „პრავო"-სა და „რუსსკოე ბოგატსტვო"-ს ზოგიერთი თანამშრომლები მიიღებენ მონაწილეობას.

◆ ჟურნალ „ჟენსკი ვესტნიკ"-ის თაოსნობით, პეტერბურგში არსდება ქალთა სასანიტარო საზოგადოება.

◆ პროფ. თარხნიშვილი იუწყება, რომ ევროპაში შემდგარია საერთაშორისო საზოგადოება, რომლის მიზანია დიდ მაიმუნების, გორილლა—შიმპანზეების, ცხოვრების ფიზიოლოგიურად გამოკვლევა. რადგან ამ მაიმუნების სისხლი და ადამიანის სისხლი ერთისა და იმავე თვისებისაა, იმედი აქვთ, რომ ამ მაიმუნების სისხლისა და სნეულებათა სესწავლის შემდეგ ფრიად-მნიშვნელოვან საშუალებათ აღმოაჩენენ ადამიანის სნეულებათა განსაკურნავადაო.

◆ პეტერბურგის ქალაქის გამგეობაში გაირჩა საკითხი პეტერბურგში შუშის ტროტუარების დაფენისა და ქუჩების შუშით მოკირწვლის შესახებ. ნიმუშები პარიზიდანაა გამოგზავნილი. ქალაქის გამგეობას ერთობ მოეწონა ამნაირად დაფენილი ქუჩები და დაადგინა, საცდელად მოკირწლონ ალექსანდრეს ხიდზე 80 ოთხ-კუთი საჟენი და დააგონ ტროტუარი ქალაქის საბჭოსთან.

◆ აღძრულია საკითხი იმის შესახებ, რომ პროვინციალურ საქალებო ინსტიტუტებთან დაარსდეს საკომერციო კლასები, რათა მოამზადონ ქალები საბანკირო კანტორებსა და სამრეწველო და სავაჭრო დაწესებულებებში სამსახურისათვის.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროში ამ ჟამად ირჩევა საკითხი სხვა ადგილებში და სასახლებლად მიმავალ გლეხთა შესახებ. როცა ეს პროექტი შემუშავდება, სახელმწიფო საბჭოში წარდგენამდის, გადაეცემა უკანასკნელ აზრის გამოსათქმელად უმაღლესად დაარსებულ სასოფლო საჭიროებათა გამომრკვევ საბჭოს, რომლის თავმჯდომარედ სტატს სეკრეტ. ს. ი. ვიტტეა.

წერილები

ახმეტა (კახეთი). 3 ოქტომბერს მოხდა ყრილობა მატაანისა, ახმეტისა და სხვა სოფლებისა. მომრიგებელმა შუამავალმა თავ. ჯორჯაძემ წინადადება მისცა სოფლის საზოგადოებას, ამოერჩიათ რამდენიმე კაცი პირობის წერილის დასაწერად ტფილისის საგუბერნიო გამგეობის სამშენებელ განყოფილებასთან შესახებ ქვიშის მომზადებისა თიანეთ-ახმეტის გზის შესაკეთებლად. საზოგადოებებმა აარჩიეს წარმომადგენლები ამ საქმის მოსაწყობად. ხალხს უხარიან, რომ ამ მოუსავლობისა და გაჭირვების დროს გზის მუშაობაზე მაინც აიღებს ფულს. როგორც გავიგეთ, ამ გზის შესაკეთებლად გადადებულია 50,000 მანეთი, რომელიც უნდა განაწილდეს სამ წლად. ეს სამუშაო უნდა საჯარო ვაჭრობით კერძო პირისთვის გადაეცათ, როგორც ეს ყოველთვისა ხდება ხოლმე, მაგრამ მაზრის უფროსის ლეონტიევის და ზემოაღნიშნულ მომრიგებელ შუამავლის თხოვნით მთავარმართებელმა ნება დართო შეკეთება

ამ სახით გურიას, გაზეთის ხელის მომწერთა სიმრავლით, საქართველოში პირველი ადგილი უჭირავს. გურიას მოჰყვება იმერეთი, სამეგრელო, ქართლი, კახეთი, ხოლო ყველას ბოლოში, რასაკვირველია, გამაჰმადიანებული საქართველო არის.

უეჭველია, მკითხველიც შეამჩნევდა, რომ ეს შედარება არ არის სავსებით სწორი და სინამდვილის გამომხატველი ქართულ გაზეთს უმთავრესად ქართველობა კითხულობს, ნაკლებ—სომხობა, ხოლო სხვა უცხო ხალხი—სულ არა. ამიტომ შედარების დროს ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ ქართველი ხალხის რაოდენობით და სხვა-და-სხვა კუთხეებში მცხოვრებ ქართველთა რიცხვის მიხედვით უნდა გამოვითვალოთ ამა თუ იმ ადგილას გაზეთის ხელის-მომწერთა მეტ-ნაკლებობა. ასეთი შედარება უფრო სწორიცაა და სამართლიანიც.

სამწუხაროდ, ახალი ცნობები, სხვა-და-სხვა მაზრებში მცხოვრებ ქართველების რიცხვის მაჩვენებელი, არ მოიპოვება და ამიტომ ჩვენ ამ შემთხვევაში მხოლოდ ცოტად თუ ბევრად დაახლოვებით სწორი ანგარიში შეგვიძლია შევადგინოთ. ქართველების დღევანდელი რიცხვი უნდა გავარკვიოთ იმ პროცენტის თანახმად, რომელსაც შეადგენდნენ ისინი საკომლო აღწერის დროს ამ 18 წლის წინად. მაგრამ ეს დაახლოვებითი ანგარიშიც მოგვცემს საშუალებას საგანზე გარკვეულ აზრის შესადგენად.

ყოველ ათას ქართველ ოჯახს უწევს „ცნ. ფურცელი":

გურიაში	15,4	ცალი
ბათომის ოლქში	19,0	„
სამეგრელოში	8,9	„
იმერეთში	14,3	„
საერთოდ ქუთაისის გუბერნიაში	11,5	„
ქართლში (ტფ. მაზრის გამოკლებით)	13,5	„
ტფილისის მაზრაში (უტფილისოდ)	2,7	„
კახეთში	11,2	„
ტფილ. გუბერნიაში (უტფილისოდ)	11,8	„

ჩვენ განგებ არ შეგვაქვს ქ. ტფილისის შესახები ციფრები საგუბერნიო ჯამში, რადგან ტფილისში ქართულ გაზეთის გამსადებელი არის არა მარტო ქართლ-კახელი, არამედ იმერელიც და სომხიც. საზოგადოდ ქალაქებში ძნელია ვარაუდის გაწევა,—ვინ ყიდულობს გაზეთს: გურული, მეგრელი, ქართლ-კახელი თუ სომეხი. განსაკუთრებით ძნელია ეს ტფილისში, სადაც სხვა და-სხვა კუთხის წარმომადგენელნი ერთმანეთში არიან არეულნი. ამიტომ ტფილისის ციფრები არ გამოგვადგება შესადარებლად. შეგვიძლია მხოლოდ ეს ციფრები სხვა ქალაქების ციფრებს დავუპირდაპიროთ და ქალაქებში მცხოვრებ მკითხველთა შედარებითი რაოდენობა გავიგოთ. 1000 ქართველ ოჯახზე მოდის ტფილისში 176,3 ცალი გაზეთი, ოზურგეთში—186,2 ც., ბათუმში—137,1 ც., ფოთში—112 ც., ქუთაისში—154 ც., სიღნაღში—117,5 ც., გორში—113,8 ც., ახალქალაქში—70 ც., ახალციხეში—34 ც., და დუშეთში—100 ცალი.

თუ ქალაქებს არ მივაქცევთ ყურადღებას და მარტო სოფლებსა და დაბებში მცხოვრებ მკითხველებს ვიანგარიშებთ, ყოველ ათას ქართველ ოჯახზე გამოვა:

გურიაში	15,4	ცალი	გაზეთი
ბათუმის ოლქში	1,3	„	„
სამეგრელოში	6,6	„	„
იმერეთში	7,6	„	„
ქართლში	9,5 (?)	„	„
კახეთში	3,7	„	„
საერთოდ ქუთაისის გუბერ.	14,3	„	„
ტფილისის გუბერნიაში	6,0	„	„

ტფილისის გუბერნიაში ქართულ გაზეთს, ქართველებს გარდა, სომხებიც იწერენ და კითხულობენ, ჩვენ-კი ამ გუბერნიაში გასადებული გაზეთი (გარდა ტფილისისა) ქართლ-კახეთის ქართველობისაგან დაუკლებლად ჩავთვალეთ და ამით აქაურ ქართველ მკითხველთა რიცხვი შეუფერებლად გავადიდეთ. მიუხედავად ამისა, როგორც ვხედავთ, აქაური ქართველობა, ქართულ გაზეთის კითხვის მხრით, მაინც უკან სდგას იმერლობასთან შედარებით. როგორც გურია, ისე თითოეული კუთხე ქუთაისის გუბერნიისა შედარებით უფრო მეტ გაზეთს იწერს და კითხულობს, ვიდრე ქართლი ან კახეთი. მართალია, აქ ქართლს სხვებზე ნაკლები ციფრი არ უზის (9,5), მაგრამ ეს აიხსნება იმ მიზეზით, რომ ჩვენ აგვისტოს თვის ცნობები გვაქვს აღებული, როცა ტფილისელები სოფლებში იყვნენ საჭეროდ წასულნი და გაზეთი დროებით საგარაკოდ არჩეულ ადგილებში ჰქონდათ დაბარებული.

რასაკვირველია, ათას ოჯახზე 10 და 15 ცალი გაზეთი თავის თავად დიდი არაფერია. ევროპაში ვერ ნახავთ ისეთ ოჯახს, რომ თავისთვის საკუთრად ერთი გაზეთი მაინც არ ჰქონდეს გამოწერილი. მაგრამ საქართველო ევროპა არ არის და ჩვენში ასეთი მცირე წარმატებაც სასიამოვნო და საიმედო მოვლენადაა ჩასათვლელი. სამწუხაროა მხოლოდ, რომ ქართლ-კახეთში ქართულ გაზეთს შედარებით ნაკლებად ჰყავს მკითხველი...

ფ. გოგიჩაიშვილი

გზისა საჯარო ვაჭრობის მოუხდენლად გადაეცეს თიანეთის მაზრის სოფლის საზოგადოებებს. აზრი მშვენიერია!

სოფ. ლესიჭინე (სამეგრელო). 9 სექტემბერს ჩვენში იყო ქუთაისის გუბერნატორი. იმ დღესვე წავიდა ახალ-სენაკს იმ გზით, რომელიც ახალ-სენაკიდან სოფ. მუხურში მიდის. ამ გზის უვარგისობაზე არა ერთხელ დაგვიწერია. გუბერნატორის მოსვლა რომ გაიგეს, გზა აქა-იქ შეაკეთეს, მაგრამ სულ ცოტა წვიმაა საჭირო, რომ მოყრილი მიწა ჩამოირეცხოს. ამ გზის გაკეთება მთავრობამ უკვე ოთხი წელიწადია, რაც დაამტკიცა, მაგრამ გაკეთებას არაფერს ეშველა. ამ გზით დიდი ხალხი დადის ახალ-სენაკში. ახლა გუბერნატორს გამოუცხადა საზოგადოებამ: თუ რამე სანოვაგე გვაქვს გასასყიდი ან სასყიდი, ამ გზით უნდა ვატაროთ; როცა ჩამოწვიმს, ცხენი ტალახში იფლება, ურმით სიარული სულ შეუძლებელია ოქტომბრიდან დაწყებული აპრილის გასვლამდის; გთხოვთ გზის გაკეთება დააჩქაროთ. გუბერნატორი დაჰპირდა საზოგადოებას, განკარგულებას მოვახდენო. გუბერნატორი რომ წავიდა, ბოქაულებმა საზოგადოებას გამოუცხადეს: თქვენ-თქვენი წილი გააკეთეთო. ორ-სამ დღეს იმუშავეს აქა-იქ, ზოგი გამოვიდა სამუშაოდ, ზოგი არა, ვინც მუშაობდა, იმათაც ზედამხედველი არა ჰყავდათ. მუშა ამბობდა, როგორ გავაკეთო, არ ვიცი; ჩემი გაკეთებული შეიძლება ზედამხედველმა დაიწუნოსო და სხვა. მერე ადგნენ და თავი მიანებეს. უფრო მეტი სენაკის მაზრის ნაწილი რჩება გაუკეთებელი. ჩვენ დიდი იმედი გვქონდა, ახლა მაინც გაგვიკეთებენ გზასაო. ჩვენი იმედი შეიძლება მარტო იმედად შეგვრჩეს. ავაზაკობა და ქურდობა თანდათან მატულობს. ერთ უკანასკნელ თვის განმავლობაში ს. ზანაში დაიკარგა ხუთი უღელი ხარი, რამდენიმე ძროხა და ცხენი. ორ უღელ ხარს მიაგნეს. ზუბში მთელმა ზანის საზოგადოებამ მოიყარა თავი ს. ზუბში, დაიბარა ბოქაული, გაჩხრიკეს რამდენიმე სახლი, ორ უღელ ხარის გარდა იპოვნეს ნაქურდალ საქონლის ტყავი და ხორცი. ავაზაკთაგანი ზოგი დაიჭირეს, ზოგი გაიქცა. მიაგნეს იმ ადგილს, სადაც ნაქურდალ საქონლის დასაკლავი ჰქონდათ გამოწყობილი. ოქმი შეადგინეს. ს. გამშერდში ივანე ბასილაიას, 2 ამთვეს დაეცნენ ავაზაკები, ცხენს რკინის ბორკილი (აბუდანი) ააჭრეს. რა უნდა ექნა ხელცარიელ პატრონს შეიარაღებულ ავაზაკებისათვის! როცა ავაზაკები წავიდნენ, ბასილაიამ მორთო ყვირილი: არიქა, მიშველეთ, ცხენი წამართვესო. მთელი სოფელი წამოდგა ფეხზე, გზები სულ შეჰკრეს. ავაზაკებმა ცხენები დააგდეს და თვითონ გაიქცნენ ქურდები იციან, მაგრამ ვერაფერი ვერ უქნეს. ს. ახუთში, გლეხი ჩიტაია ღამის ყარაულად ყოფილა. შუაღამეზე ჩიტაია შინ რომ მოდიოდა, თავის ეზოს კარებთან ქურდები შეჰხვდა, რომელთაც ხარები მოეპარათ. ჩიტაიამ დაიწყო ყვირილი. ერთი ავაზაკი მივარდა და ხანჯალი ჩაჰკრა მუცელში და მერე თავს უშველეს. კოსტა ზარანდიას ერთი უღელი ხარი მოჰპარეს. შეიტყო ვინ მოპარა. მივიდა ხარის სათხოვნელად. ქურდებს ეთქვათ: ორმოცი მანეთი მოგვიტანეთ, ისე ხარებს ვერ მოგცემთო. ზარანდიას ეთქვა: ამდენი ფული არა მაქვს, ერთი ხარი მომეცით და ერთი თქვენ საკუთრად გყავდეთო. მაგრამ ქურდებს უარი ეთქვათ. ქურდობაში უფრო დახელოვნებულნი ისინი არიან, ვინც ქურდობისა გამო სატუსაღოში მჯდარა. დღე და ღამე საქონელი რკინის ბორკილებით ჰყავთ შეკრული, თუ თვალი მოაშორეს, უნდა გამოეთხოვონ. ჩვენ ხალხს, ისედაც გაღატაკებულს, ეს ქურდობა სულ ბოლოს უღებს. ოთხი წელიწადია სოფლებში ყარაულები (სტრაჟნიკები) დააყენეს. ავაზაკობა, რაც არ გავრცელდა, არა კლებულობს. ოქტომბრიდან სიმინდის ტეხა დაიწყეს. სიმინდის მოსავალი ნაკლებია. სამი დღის განმავლობაში ისეთი ძლიერი ქარი ჰქროდა, რომ სიმინდის ჩალას ფოთოლი სულ შემოაცალა. ადესის ღვინო ზოგს ორი-სამი კოკა (ფუთ ნახევარი) მოუვიდა, ზოგს სულ არა. ამინდი კარგია.

პეტრე დგებუაძე.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

15 ოქტომბერი

ლონდონი, 13 ოქტომბერი. მიწათ-მოქმედების მინისტრმა სთქვა გლაზგოში: „ინგლისმა სრული დაკმაყოფილება უნდა მიიღოს და საკმაო გარანტიები, რომ ამგვარი შემთხვევა აღარ განმეორდება. ვფიქრობ, იმედი უნდა გვქონდეს, რომ სასურველ პასუხს მივიღებთ რუსეთის მთავრობისაგან. ჩვენ გვგონია, რომ ამის მეტს არაფერს არ მოვითხოვთ და ჩვენი მეგობრული განწყობილება რუსეთთან არ დაირღვევაო."

ხარბინი, 15 ოქტომბერი (საკუთ. კორ.). ბოლო დღეებში არმიაში ხშირი თოფის სროლაა მოწინავე რაზმებს შორის. სერიოზული შეტაკება არ მომხდარა. იაპონელები მთელ ფრონტზე სანგრებს აკეთებენ და უნდა ვიგულისხმოთ, რომ წინსვლას არ აპირობენ და რუსების გამოლაშქრებას ელიან. —ტელინში მოწყობილია საყასბო, სადაც მზადდება ხორცი ექიმის ვლასევიჩის სისტემით. მუკდენში გახსნილია ამ ხორცის საწყობი; ხორცს აქედან არმიის სხვა-და-სხვა ნაწილებს უგზავნიან. ხორცის დასამზადებლად თვით ამ ახალი სისტემის გამომგონია გამოწვეული. აფიცრები, რომელთაც ლაშქრობა გამოიარეს და ამ ხორცით იკვებებოდნენ, ქებით იხსენიებენ ამ ახალ სისტემას.

ვიგო, 14 ოქტომბერი. მთავრობამ ნებართვა გამოსცა 400 ტონა ნახშირი მისცენ თვითეულ რუსის გემს. გერმანიის ნახშირის გემები ტანჟერს წავიდნენ.

მუკდენი, 14 ოქტომბერი (საკუთ. კორ.). გუშინ და დღეს ჩვენ მარჯვენა ფრთაზე სუსტი ზარბაზნების სროლაა. მშვენიერი დარი დგას. სიცივემ იკლო.

ხარბინი, 14 ოქტომბერი (საკუთ. კორ.). პუტილოვის გორის პოზიციებზე ჩვენმა ჯარმა სამხედრო წესით დაასაფლავა იაპონელთა 1,500 გვამი. ბევრი გვამი ჯერ-ჯერობით არ დაუსაფლავებიათ. ჩვენი ზარალი ამ გორას ახლოს ბრძოლაში: მოგვიკლეს და დაგვიჭრეს 93 აფიცერი და 2300 სალდათი.

კარდიფი, 15 ოქტომბერი („რეიტერი"). ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოების გემები, რომელნიც ბალტიის ესკადრისათვის ნახშირით იტვირთებოდნენ ბარრში, მალე გავლენ აქედან. 20 ოქტომბრამდე არ ფიქრობდნენ აქედან წასვლას, მაგრამ ეხლანდელ გამწვავებულ მდგომარეობის გამო, უჩქარიან ნახშირის დატვირთვას. გემი „ბეთანია" 9 ათას ტონა ნახშირით დილით გავიდა. გემი „არტემიზია" დატვირთულია 8 ათას ტონით და მზად არის გასასვლელად. სხვა გემებიც დაუყოვნებლივ მიდიან.

ვიგო, („რეიტერი"). რუსეთის ესკადრის ნაწილი დღეს გავიდა შუაღელ აღმოსავლეთისაკენ. ადმირალ როჟესტვენსკიმ გამოაცხადა, რომ ესკადრის უმეტესის ნაწილით ტანჟერისაკენ წავალო.

ტანჟერი, 14 ოქტომბერი („რეიტერი"). რუსეთის ესკადრა აქ ნახშირით დაიტვირთება. საფრანგეთის ორმა კრეისერმა ბრძანება მიიღო, ნავთ-სადგურში დარჩითო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

15 ოქტომბერი

ვიგო. 14 ოქტომბერი. „დეილი ექსპრესი"-ს თანამშრომლისათვის უთქვამს როჟესტვენსკის, მე მსურს გადაჭრით ვსთქვა, რომ შაბათს დილით, არ ვიცოდი ინგლისელ გემების დაღუპვის ამბავი და თუ მართლა ამ შემთხვევამ რამდენიმე კაცი იმსხვერპლა. ნუ დაიჯერებთ გაზეთების მიერ მოყვანილ ცნობებს ამ ამბის შესახებ. როჟესტვენსკის მხოლოდ 48 საათი მისცეს დრო ქვანახშირის დასატვირთავად და მანქანების შესაკეთებლად. ადმირალი ამტკიცებს, ორი ჯავშნიანი გემი ისეა დაზიანებული, რომ მათ შესაკეთებლად ეს ვადა საკმაო არ არისო. ადმირალი გაჯავრებული იყო და ამაოდ ცდილობდა მიეცათ მისთვის ნება, თვითეულ გემზე 2000 ტონა დაეტვირთა. როცა უარი უთხრეს, როჟესტვენსკიმ გამოაცხადა, ძლიერ ვწუხვარ, რომ ესპანია ასე არა მეგობრულად ექცევა რუსეთსაო. რუსის ფლოტი დაფანტულია ესპანიის სანაპიროს გაყოლებით; აკლია ქვა-ნახშირი და სურსათი.

მალტა, 15 ოქტომბერი. აქედან გიბრალტარს წავიდა ინგლისელთა რამდენიმე სამხედრო გემი.

ლონდონი, 15 ოქტომბერი. ქვა-ნახშირის რამდენიმე ტრანსპორტი დღეს გიბრალტარსა და მალტას წავა. ჩატამში გაცხარებული მზადებაა. პორტსმუტში სამხედრო გემები ემზადებიან ზღვაში გასასვლელად. ყველაფერი მზადაა საზღვაო რეზერვების მობილიზაციისათვის.

გიბრალტარი, 14 ოქტომბერი. „დეილი მეილი"-ს სიტყვით, ზღვაში გავიდნენ ინგლისის ჯავშნიანი გემი „ბრუისერ"-ი, ყველა ნაღმიანი გემი, ოთხ ჯავშნიან გემისა და სამ კრეისერისაგან შემდგარი ლამანშის ესკადრის პირველი რაზმი. ყველა სრუტეებს იცავენ. საადმირალო დაუყოვნებლივ გზავნის 10 ათას ტონა ქვა-ნახშირს.

კარდიფი, 14 ოქტომბერი. „დეილი ტელეგრაფ"-ის სიტყვით, ჰამბურგ-ამერიკის საზოგადოების გემები, რომელნიც ქვა-ნახშირს ტვირთავენ, განზრახულზე რამდენიმე დღით წინ გავლენ. ამ გარემოებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

პეტერბურგი. 15 ოქტომბერი. გენერალ სახაროვის დეპეშა მთავარ შტაბს: „13 ოქტომბერს ჩვენმა ცხენოსანთა რაზმებმა დაზვერეს ადგილები ხაკეუტაისაკენ. დივიზიონმა თავად თუმანოვის უფროსობით სოფ. ხაილატოზასთან, სოფ. ხეკეუტაის პირდაპირ ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე აიძულა მტერი გაეშალა საბრძოლველად 1500 კაცი ქვეითა ჯარი, რომელსაც ჰქონდა ოთხი ზარბაზანი. ესაულ იაგოლინის მეთაურობით 2 ესკადრონმა, რომელსაც გვერდით კიდევ მეორე ცხენოსანთა სოტნა ეხმარებოდა, იერიში მიიტანა მტერზე და გარეკა სოფ. ხაილატოზის იქით. ჩვენ მოგვიკლეს 3 და დაგვიჭრეს 2 ჯარის კაცი. 13 ოქტომბერს ჩვენ მარჯვენა ფრთეზე, საგენერალო შტაბის პოდპოლკოვნიკის გისერის ხელმძღვანელობით, დაზვერეს მტერი. საათნახევრის გაგრძელდა ზარბაზნების სროლა. ღამის 11 საათზე წავიდნენ სოფ. ჩანლაპუსა და ბეზიმიანისაკენ, რომელიც ბრძოლით აიღეს ჩვენმა რაზმებმა. მტერმა უკან დაიხია. დაჭრილია კაპიტანი ნადეენი და პოდპორუჩიკი ლიუბენინი. იგივე სოფელი ჩვენმა რაზმებმა 9 ოქტომბერს ღამით დაზვერეს და ამ დროს შტაბს-კაპიტანი ვოროტინცი რამდენისამე ჯარის კაცით შეიჭრა სოფელში და ხმლით მოჰკლა ორი იაპონელი დარაჯი. 13 ოქტომბერს გათენებისას ჩვენ რაზმს იაპონელთა რაზმი დაეცა. ამათ მოუკლეს ორი და 5 დაუჭრეს. ღამე 12 ოქტომბერს ჩვენმა რაზმმა დიდი არეულობა მოახდინა იაპონელთა ბანაკში, შუიხალინის უდელტეხილის დასავლეთით. ამ ადგილიდანვე აეროსტატი აუშვეს იაპონელებმა და ჩვენმა რაზმა თოფები დაუშინა და აეროსტატი ძირს დაეშვა. 14 ოქტომბერს დილის 7 საათიდან სალამომდი მტრის ორი ზარბაზანი განუწყვეტლად ესროდა ყუმბარებს გორას, სოფ. იანსიტუნიდან სამხრეთით, 2 ვერსის მანძილზე; ეს ადგილი ჩვენ გვქონდა დაჭერილი დასაზვერად. ნაშუადღევის 4 საათზე იაპონელებმა სოპკაზე იერიში მიიტანეს. ჩვენმა როტებმა ძლიერი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკან დაიხიეს უმთავრეს პოზიციაზე. როცა ჩვენი როტები უკან მოდიოდნენ, უმთავრეს პოზიციებიდან არტილერიამ ყუმბარები დაუშინა სოპკას და იაპონელებიც აიძულეს თავი დაენებებინათ.

ლონდონი, 15 ოქტომბერი. დღეს ლაღამით საპოლიტიკოსა და სადიპლომატო წრეებში ხმა გავრცელდა: რადგან ადმირალი როჟესტვენსკი აშკარად მოქმედებს და თითონაც მწუხარება გამოაცხადაო, შესაძლებელია ხვალ მინისტრთა საბჭომ მოახერხოს და დაადგინოს, რომ ინგლისის მთავრობის ყველა მოთხოვნილება სავალდებულოდ არ იქმნეს და ფიქრობენ, რომ რუსეთის მთავრობაც დასთანხმდება, მოთხოვნილების ყველა დანარჩენი მუხლები დააკმაყოფილოს.

კორუნია, 15 ოქტომბერი. ჯერ არ გამოსულა იმის ნებართვა, რომ რუსეთის გემებს ნახშირი მისცენ ვიგოში. ამიტომ რუსეთის ადმირალმა უბრძანა გემებს, მზად იყავით ტანჟერისაკენ წასასვლელადაო. როგორც ამბობენ, ესკადრა პარასკევს გავა. ინგლისის გემები არსად არ მოსჩანდნენ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა, 12 ოქტომბერი

ლონდონისაზე 10 გირვ. სტ.	93,60
ბერლინისაზე 100 მარკაში	—
პარიზისაზე 100 ფრანკში	—
ლონდონისაზე ჩეკები	94,20
ბერლინისაზე „	46,30
პარიზისაზე „	37,52½
ბირჟის დისკონტი	6-7½%
4% სახელმწიფო რენტა	91¾ გაყ
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	—
4½% შინაგანი სესხი 1903 წ.	—
4% გირ. ფურ. სახელ. ს.-მამ. ბანკ.	—
5% 1 შინ. სესხ. მომ. ბილ. 1864 წ.	416
5% მეორე შინ. სესხ. მომ. ბილ. 1866 წ.	317 „
5% გირ. მომგ. ფურც. სახ. ს.-მამ. ბანკ.	267 „
5% ობლ. ტფილ. საკრ. საზოგ.	—
4½% ობლ. იმავე საზოგად.	—
5%-ანი ობლ. ბაქოს საკრ. საზოგ.	—
5% გირ. ფურც. ტფილ. ს.-მამ. ბანკ.	89½
4½% გირავ. ფურც. ამავე ბანკისა.	—
6% გირ. ფურ. ქუთ. ს.-მამ. ბანკისა.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	87¼
ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	243 „

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარეშე ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამმაზრით) სალამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 სალამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 ნაშუადღევის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს. 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4) საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. 36 წ.).

ბათუმიდან: 1) საფოსტო № 4 სალამოს 4 ს. 56 წ. (5 ს. 54 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 01 წ. (7 ს. 59 წ.).

ერევან-ყარსიდან: 1) საფოსტო № 76/77 დილის 5 ს. 35 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. № 92/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუაღამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 სალამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.-სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.).

გ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № 6 სალამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 სალამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

სავადმყოფოები

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში—12 მან. ცალკე ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, ... ლი ტერ-ოსიპოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხნიშვილი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა. კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-... ისა. გამგე ექიმი მირაქოვი.-

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელიქ-მოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა. ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქ., სახლი ჩითახოვისა. ავადმყოფებს უფასოდ აძლევს რჩევას. გამგე გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქ. ბოზე, ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო ... ყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. ... ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანია. თვეში 12 მან. გამგე ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამის თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი ... ლიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

სახალხო ბიბლიოთეკები

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა"

ტფილისში:

1. სასახლის ქუჩაზე, თავ.-აზნაურობის ქარვასლაში.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ სალამ. 5—7 „
   კვირა-უქმე—დილ. 11—1 „
2. ნაძალადევში, ვოდოპროვოდის ქ., № 131.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ სალამ. 5—9 „
3. ოლგას ქუჩაზე, სახლი № 19.
   ღია არის დილით 10—2 საათ.
   „ სალამ. 5—8 „

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ, საზოგადოების წესდების მე-77 §-ის ძალით, მდგომარე წლის 27 ოქტომბერს, ნაშუადღევის 1 საათზე, საზოგადოების სადგომში, პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ სახლში მოხდება **საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც გაიყიდება შემდეგი მამულები, რომელიც ბანკს დარჩა:

1. **რიბაკოვი პ. ი**.: მიწის ნაჭერი, ზომით 145 ოთკუთხი საჟენი, ორ-სართულიანი სახლი სარდაფითა და თახის ორ-სართულიანი ფლიგელით. მე-10 ნაწილში, პირველ მალაკნების ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 15,377 მან. 83 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—1231 მან. 71 კაპ.

2. **ტერ-პოღოსოვი ო. დ.**: მიწა, ზომით 100 ოთკ., საჟენი, სამ-სართულიანი სახლი სარდაფითა და მინაშენებით. 1 ნაწილში, უდელნის ქუჩაზე.

ამ მამულზე ამ ჟამად ითვლება თავნი ვალი 21,039 მან 02 კაპ. და დარჩენილი გადასახადი—2457 მან. 99 კაპ.

ამ მამულების საჯარო გაჭრობა დაიწყება იმ თანხიდან, რომელსაც დაასახელებენ მსურველნი, ამასთან საჯარო გაჭრობის დამტკიცება დამოკიდებული იქნება საზოგადოების გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ კრებისაგან.

ვისაც გაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, იმან საზოგადოების კასსაში უნდა შეიტანოს ბელ თითო ზემოდასახელებულ მამულის საგირაოდ 500 მან.

თუ მეიდგელი მოისურვებს, შეიძლება იმის სახელზე გადატანილ იქნას ამ მამულების თავნი ვალიც

საჯარო გაჭრობის დაწვრილებითი პირობები და დასახელებულ მამულების შესახებ ქაღალდები და საბუთები მსურველთ შეუძლიათ გასინჯონ, აგრეთვე მიიღონ საჭირო ცნობები საზოგადოების გამგეობაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 10-დან ნაშუადღევის საათამდე. (6—6.—1

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კიოსკში,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—ზოგმა ბაჩანასი.	8. ქ. — 10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	— 5
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	— 2
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1
II და III ტომი თითო	1
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—
იგივე II და III ტომი თითო	—
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა.	— 1
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	— 4
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	— 6
რაფ. ერისთავის I ტომი	— 60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	— 20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	— 5
სიბრძნე ბალავარისა	— 3
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—
დვინის დაქცევა, პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1 5
რძე, მისივე	1 50
ცეცხლითა და მახვილით, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	— 80
დასტურ-ლამა	— 2
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	— 20
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	— 2
ხვთო რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ჯვანგულოვისა	1

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიოდედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.

ახალი საყმაწვილო ჟურნალი

„ნაკადული"

სურათებით

გამოიცემა მცირე წლოვან და მოზრდილ ყრმათათვის

თვეში სამი წიგნი: ორი მცირე წლოვანთათვის და ერთი მოზრდილთათვის პედაგოგიურ ფურცლის დამატებით.

წელიწადი ითვლება 1 ნოემბრიდან 1 ნოემბრამდე.

ჟურნალის ფასი: ერთად ორივე გამოცემა ღირს წელიწადში 5 მან. ცალ-ცალკე 3 მან.

რედაქცია იმყოფება ალექსანდროვის ქუჩაზე, № 5, სახლი პოპოვისა, სადგომი მარიამ ივანეს ასულის დემურიასი

ხელის მოწერა მიიღება: რედაქციაში, „წერა-კითხვის გამავრც. საზოგ." კანცელარიაში და ჟურნალის აგენტებთან.

(ჩ. 0—15) ადრესი: Тифлисъ, редакція журнала „НАКАДУЛИ"

Дозволено цензурою, 15 октября 1904 г. სტამბა „წიგნების გამომც. ქართ. ამ—ბის". Электроп. „Груз. Изд. Т—ва".